პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
9
დეკემბერი
1936 წ.
№ 284 (4783)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან

სტალინური კონსტიტუცია მოქმედებაში შევიდა

ხალხის არჩეულნი — საბჭოების აღფრთოვანებული სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატები მშობლიურ ადგილებს უბრუნდებიან. მშრომელნი მათ მოუთმენლად ელიან. ისინი, დელეგატები, ხომ მონაწილეობას იღებდნენ იმ ყრილობაში, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ერთერთ ყველაზე ნათელ და უდიდეს ნიშანსვეტად შევა. მათ ხვდათ ბედნიერება, რომელზეც ოცნებობს თვითეული მშრომელი ჩვენში, სსრ კავშირში, თვითეული პატიოსანი ადამიანი საზღვარს იქით: მათ ნახეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, უსმინდნენ ახალი კონსტიტუციის შემოქმედს—ამხანაგ სტალინს.

— მე შინ უსაზღვროდ ბედნიერი მივდივარ. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ განმიცდია ამდენი სასიხარულო დღეები, როგორც ყრილობის დროს. მე ძალიან ბევრი რამ დავინახე და გავიგე. მე ვუამბობ კომბინატის მუშებს ყრილობის შესახებ ვუამბობ ამხანაგ სტალინზე, წითელი არმიის ძლიერებაზე, სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობაზე.

ეს—ბობრუისკის ტყისდამამუშავებელი კომბინატის მეჩარხე ამხ. გლადიშევის სიტყვებია.

კონსტიტუცია ამიერიდან მოქმედებს, როგორც სოციალისტური საზოგადოების ურყევი კანონი. იგი ფრთებსასხამს, აღფრთოვანებს მშრომელებს სოციალიზმის თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხეში. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო მხნედ გრძნობენ თავს. მათი გული აღგზნებულია სურვილით—ღირსეული საქმეებით აღნიშნონ ახალი ხანის დასაწყისი, აღგზნებულია მისწრაფებით—განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ძლიერება.

„პრავდის" დღევანდელ ნომერში იბეჭდება ცნობები ყრილობის დელეგატთა პირველ ანგარიშებზე ლენინგრადისა და მოსკოვის საწარმოებში. დამახასიათებელია, რომ, მოისმინეს რა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატის, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. კამანინის ანგარიში, მოსკოვის მენჟინსკის სახელობის ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა განაცხადეს:

„ჩვენ, ჩვენი სახელოვანი საავიაციო მრეწველობის მუშაკები, მხურვალედ მივესალმებით საყვარელი ბელადისა და მეგობრის—ამხანაგ სტალინის წინადადებას თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ. ჩვენ მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ ჩვენს წითელ არმიას ჰქონდეს საბრძოლო თვითმფრინავები, რომლებითაც შეიძლებოდეს გავანადგუროთ მტერი, საიდანაც უნდა გამოჩნდეს იგი.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას—თვითმფრინავზე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უმოკლეს ვადაში ჩვენს ქვეყანაში იყოს 150 ათასი მფრინავი. ეს იქნება ჩვენი ახალგაზრდობის ღირსეული პასუხი ხალხთა დიად ქარტიაზე სტალინურ კონსტიტუციაზე".

ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა მილიონიანი დემონსტრაციების ნაბიჯები, ჯერ კიდევ არ მიყუჩებულა მგზნებარე სიტყვები, სიმღერები და მისალმებანი, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საყოველთაო-სახალხო ზეიმი ახალი კონსტიტუციის აღსანიშნავად, მაგრამ უკვე იგრძნობა სუნთქვა სოციალიზმის ახალი ყოველდღიური საქმიანობისა, რომელიც გამსჭვალულია გაუგონარი სიმამაცით, გმირული შრომით და განუზომელი სიხარულით. ქარხნებში და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და კულტურის სასახლეებში—ყველგან შრომა გახდა და ხდება კიდევ უფრო ნაყოფიერი და ეფექტური.

ხარკოვის სტალინის სახელობის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა: პასუხსაგები შეკვეთები „ზაპოროჟსტალისათვის", მოსკოვის მეტროპოლიტენისათვის, მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობისათვის მზად არის. ასე ეგებებიან ჩვენს ქვეყანაში ახალი კონსტიტუციის დამტკიცებას.

— 1936 წელს,—ლაპარაკობს ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ჩერვონა უკრაინის" რგოლის ხელმძღვანელი—ქალი. მ. ფ. პილიპენკო,—ჩემს უბანში მე ავიღე 1.049 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოსავალი ჰექტარზე. ვალდებულებას ვკისრულობ 1937 წელს მივიღო 1.500 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი.

ძლიერი, ჰკვიანი ნებისყოფიანია საბჭოთა ადამიანი —სტალინური წრთობის ადამიანი. იგი შეეჩვია მთლიანად განახორციელოს ხოლმე ის, რაც დაისახავს, შეასრულოს ის, რაც უკისრია. ეჭვი არ არის, სტალინური კონსტიტუციის დამტკიცება თვითეულ საწარმოში, თვითეულ რაიონში, თვითეულ ოლქსა და რესპუბლიკაში უკვე უახლოეს დროს გამოიწვევს სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ არაჩვეულებრივ აღმავლობას.

ახალი კონსტიტუცია კანონთა და უფლებათა მომქმედი კოდექსია. საქმეა მისი არა მარტო შესწავლა, არამედ განხორციელებაც. ეს ნიშნავს მკვეთრ გარდატეხას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში. მთელი მათი საქმიანობის წამყვან ღერძად, ქვაკუთხედად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა იყოს ზრუნვა ადამიანზე. ზრუნვა ადამიანზე, რომლის ბედნიერებისათვის იბრძოდნენ და კვდებოდნენ, თავის სიცოცხლეს სწირავდნენ მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილნი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

სტალინური კონსტიტუციის იდეები, პრინციპი უკვე ეუფლებიან მასებს. ახალი საზომით, ახალი კრიტერიუმით უდგება საბჭოთა ადამიანი თვითეული სახელმწიფო დაწესებულების, თვითეული საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაკის საქმიანობას, მუშაობის შეფასებას.

ახალი კონსტიტუცია არ არის მომავლის პროგრამა. ესაა მონაპოვარნი, ესაა მრავალი წლის ბრძოლის შედეგები. აქედან, ამ სრულიად სწორი წანამძღვარებიდან არაშორსმჭვრეტ ადამიანებს შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა, თითქოს სახელმწიფო მუშაობის სტილსა და მეთოდებში არაფერი შეცვლილიყოს. ეს არ არის სწორი დასკვნა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულმა მოქალაქემ მთლიანად გამოიყენოს ყველა უფლება, რომლებიც მას მინიჭებული აქვს. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ყველგან საბჭოთა კავშირის სულ შორეულ კუთხეებშიც უზრუნველყოფილი, გარანტირებული იყოს, საქმით ხორციელდებოდეს ყოველივე ის, რაც მოპოვებული და ჩაწერილია ახალ კონსტიტუციაში. აქედან ცხადია, რომ კონსტიტუციამ მოიტანა ახალი მოთხოვნები, ახალი მოვალეობანი თვითეული სახელმწიფო დაწესებულებისათვის, თვითეული საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის.

„ჩვენში ცოტა როდია ისეთი დაწესებულება, რომლებიც ცუდად მუშაობენ. ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლების ამათუიმ ადგილობრივ ორგანოს უნარი არ შესწევს დააკმაყოფილოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ესათუის მოთხოვნილება, მრავალმხრივი და სულ უფრო-და-უფრო მზარდი მოთხოვნილებებიდან" (სტალინი).

კონსტიტუციამ მშრომელებს ისეთი შოლტი მისცა ხელში სახელმწიფო ხელისუფლების ცუდად მომუშავე ორგანოების წინააღმდეგ როგორიცაა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. ახალი საარჩევნო სისტემა—ძლიერი საშუალება ბიუროკრატების, ჩინოვნიკების, უსაქმურების წინააღმდეგ, ისეთ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელნიც უგულებელჰყოფენ მასების საარსებო ინტერესებსა და საჭიროებებს.

ჯერ კიდევ ახალ არჩევნამდე რომელთა ვადები და წესი, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის ნების თანახმად, შემუშავებული და დადგენილ იქნება სსრ კავშირის ცაკის მიერ, საჭიროა ისე ავამაღლოთ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობა, რომ მათ შეძლოთ მთლიანად უზრუნველჰყონ ყველა იმ უფლების განხორციელება, რომლებიც ახალმა კონსტიტუციამ თვითეულ მშრომელს მიანიჭა. ვიმუშაოთ ისე, რომ არ იყოს საფუძველი საჩივრებისათვის, საყვედურებისათვის, უკმაყოფილებისათვის — აი რა მოთხოვნას უყენებს ახალი ვითარება ჩვენი ქვეყნის თვითეულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეს.

ახალი კონსტიტუცია მოქმედებაში შევიდა!

„პრავდის" მოწინავე, 8/XII.

შაქრის მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმე

წერილი „კომუნისტის" რედაქციას

(გადმოცემულია მოსკოვიდან ტელეფონით)

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. ბერიას პატაკი პარტიისა და მთავრობისადმი—შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ ნათლად მოწმობს მოწინავე რესპუბლიკის წარმატებებს.

შაქრის ჭარხლის მოსავლის მხრივ საქართველო ერთერთ პირველ ადგილზე გამოვიდა. ჰექტარზე მიღებულია 195,8 ცენტნერი, ე. ი. შარშანდელი [illegible] ერთიორად და კიდევ მეტად არის გადიდებული.

ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის შემდგომად, საქართველო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი მდივნის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით დაადგა შაქრის ჭარხლის მტკიცედ ათვისების გზას. შაქრის მრეწველობა, რომელიც წინათ ამიერ-კავკასიაში უცნობი იყო, მკვიდრად შედის ამ მხარის ეკონომიკაში.

არ შემცირდეს წარმატება, უზრუნველყოფილი იქნეს ჭარხლის დიდი მოსავალი და მიღწეულ იქნას შაქრის ქარხნის მაღალი ნაყოფიერება—აი ამოცანა, რომელიც დგას საქართველოს შაქრის მრეწველობის მუშაკთა კოლექტივის წინაშე.

შაქრის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი
ოდინცოვი.

სტალინური კონსტიტუციის დროშით

ბათომის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი და დემონსტრაცია

ბათომი, 6 დეკემბერი. (საქტესი). სტალინური კონსტიტუციის—ბედნიერი საბჭოთა ხალხის ძირითადი კანონის დამტკიცების ცნობას მთელს აჭარაში აღფრთოვანებით და ოვაციებით შეხვდნენ.

ბათომმა ჯერ კიდევ 5 დეკემბრის საღამოს მიიღო სადღესასწაულო სახე: სახლებზე გამოჰკიდეს წითელი დროშები, ნოხები, რევოლუციის მოედანი მორთო ფერადფერადი საზღვაო ალმებით.

დღეს კი მთელი ქალაქი ქუჩაში გამოვიდა, რათა მოახდინოს პარტიის, მთავრობისა და მშობლიური სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების დემონსტრაცია, გამოთქვას მადლობა ახალი სტალინური კონსტიტუციისათვის. ქალაქის ცენტრალური ქუჩები — კომინტერნის, შმიდტის, ლენინისა და სხვ.—სავსეა დემონსტრანტებით.

სადღესასწაულო პროცესიას იწყებს აჭარის მოწინავე ნავთსახდელი ქარხანა. სტახანოველებს მოაქვთ დიდი მაკეტი: „სტალინური კონსტიტუცია—საბჭოთა ხალხის ბედნიერებაა". მაკეტის ზემოთ ორი უზარმაზარი — ლენინისა და სტალინის — პორტრეტია. ნავთსახდელი ქარხნის მუშათა პირველ რიგებში მიდიან ორდენოსანი მამედ ფალავა, საუკეთესო სტახანოველი ამხანაგები: დევდარიანი, ბონდარენკო, სირქისიანი და სხვ. ბევრს ხელში უჭირავს ხასხასა დროშები და ყვავილთა თაიგულები.

აზვირთებულ ნაკადივით მოდიან მოხუცები და ახალგაზრდები, ქალები და მამაკაცები, რკინიგზელები და მკერავები, ხარაზები და მეთამბაქოეები, სამხედრო ნაწილები, ექიმები და მასწავლებლები, აგრონომები და მრავალი სხვა.

ნავსადგურისა და მეტყევეთა კოლონებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებზედაც დაწერილია: „საბჭოების მე-8 ყრილობის საჩუქრად. ჩვენ ვადამდე ადრე შევასრულეთ წლიური გეგმა".

მოდის ბედნიერი ახალი თაობა — მოწაფენი. მათ მოაქვთ ბავშვების საუკეთესო მეგობრის—დიდი სტალინის პორტრეტი.

დემონსტრაციის შემდეგ იწყება მიტინგი. 20 ათასზე მეტმა კაცმა გაავსო რევოლუციის ფართო მოედანი და ნახევარწრიულ შემოერტყა ვ. ი. ლენინის უდიდეს ძეგლს.

მიტინგს ხსნის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩანგაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოდის აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ქვანია.

საკერავი ფაბრიკის კოლექტივის სახელით გამოდის აჭარელი ქალი ფადიკო დუმბაძე.

ინტელიგენციის სახელით პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ამხ. გორგაძე.

შემდეგ გამოდიან: ბათომის ნავთსახდელი ქარხნის სტახანოველი ამხ. გოლეთიანი, სალეკიონო სკოლის კურსანტი კაკაძე და სხვ.

20 ათასიანი მიტინგი მქუხარე ტაშით და „ვაშას" ძახილით ამტკიცებს დიდი სტალინისადმი მისალმების დეპეშის ტექსტს.

მოზეიმე ხალხის მიტინგი დამთავრებულია.

ისტორიული დღის პატივსაცემად მოედანზე დაიწყო სახალხო სეირნობა. საღამოს იგი კლუბებში გაგრძელდა.

ზეიმი ქუთაისში

ქუთაისი, 6 დეკემბერი. (საქტესი). 5 დეკემბერს საღამოს რადიოტალღებმა მოიტანეს დიდი და სასიხარულო ცნობა—ჩვენი სამშობლოს საბჭოების საგანგებო ყრილობამ დაამტკიცა სტალინური კონსტიტუცია.

ქუთაისის მშრომელები, რომლებიც რადიოგადაცემას ისმენდნენ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და კლუბებში, ამ ცნობას შეხვდნენ მქუხარე ტაშით, ძახილით „ვაშა დიდ სტალინს", „გაუმარჯოს ჩვენს კონსტიტუციას და მის შემოქმედს დიდ სტალინს".

ქუჩები, მოედნები და ბაღები გვიან ღამემდე სავსე იყო მშრომელებით, ისინი ერთმანეთს გაცხოველებით უზიარებდნენ აზრებს და ულოცავდნენ ერთიმეორეს.

6 დეკემბერს მზის ამოსვლიდანვე მოწმენდილ ცაზე დაიწყეს ტრიალი თვითმფრინავებმა, რომლებიც პროპელერთა ხმაურით ულოცავენ ქუთაისს სტალინური კონსტიტუციის მიღებას.

კოხტად მორთული ქუთაისი ზეიმობს. ყოველმხრივ მოისმის მუსიკა, საბრძოლო მხნე სიმღერები, რომლებიც მოგვიწოდებენ ახალი, უფრო გრანდიოზული გამარჯვებებისათვის საბრძოლველად.

დილის 11 საათისათვის ლენინის სახელობის მოედნისაკენ იწყო დენა მშრომელთა კოლონებმა ორკესტრებით, ბელადების პორტრეტებით და მისასალმებელი ლოზუნგებით.

აქ, მოედანზე, სადაც აღმართულია კაცობრიობის უდიდესი გენიოსის—ვ. ი. ლენინის ძეგლი, გაიმართა ქუთაისის მშრომელთა 30 ათასიანი მიტინგი, მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციის მიღებისადმი.

მუშებსა და წითელარმიელებს თავის ღონიერ ხელში მაღლა უჭირავთ საბჭოთა კონსტიტუციის ინიციატორისა და შემოქმედის—ამხანაგ სტალინის პორტრეტები. მოედანზე დროშების, პლაკატებისა და ლოზუნგების მთელი ზღვაა.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გველესიანი ხსნის მიტინგს და ქუთაისისა და რაიონის მშრომელთა ულოცავს სტალინური კონსტიტუციის მიღებას, ჰაერს არყევს მქუხარე „ვაშა", „ურა". ისმის მისალმების შეძახილები კონსტიტუციის შემოქმედის, ხალხთა ბელადის,—დიდი სტალინის მიმართ.

ტრიბუნაზე ადის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ჭუნია ტყეშელაშვილი. იგი ლაპარაკობს იმ აღტაცებასა და შრომით ენტუზიაზმზე, რომელიც დიდი ბელადის მოხსენებამ გამოიწვია მუშებსა და მუშაქალებში.

შემდეგ გამოდიან: პროფესორი დოლიძე, პოლკოვნიკი ივანოვი, პიონერი ასათიანი და კანაძე, მასწავლებელი-ქალი გრძელიძე, წითელარმიელი კურტანიძე.

კითხულობენ ხალხთა ბელადის—დიდი სტალინისადმი მისალმების დეპეშის ტექსტს. მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციები, „ურას", „ვაშას" ძახილი, მისალმების შეძახილები დიდი საბჭოთა კონსტიტუციის გენიალური შემოქმედის—ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ბორჯომში

ბორჯომი, 6 დეკემბერი. (საქტესი), — დღეს, საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის მიერ სტალინური კონსტიტუციის დამტკიცების აღსანიშნავად, გაიმართა ბორჯომის მშრომელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6 ათასამდე კაცმა.

დემონსტრაციის შემდეგ დაიწყო სახალხო სეირნობა, მასობრივი ცეკვა, „მზად იყავ შრომისა და თავდაცვისათვის" ნიშანზე ნორმების ჩაბარება. ფიზკულტურელებმა მოაწყეს სტალინური კონსტიტუციისადმი მიძღვნილი ესტაფეტა და კროსი.

სტალინირში

სტალინირი, 6 დეკემბერი. (საქტესი). ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთო. სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი დღესასწაულობენ სტალინური კონსტიტუციის დამტკიცებას. გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. როდესაც საქართველოს კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ტაუტიევი მიტინგს აცნობებს ყრილობის მიერ სტალინური კონსტიტუციის მიღებას, გაისმის ძლიერი „ვაშა", მისალმების შეძახილები საყვარელი ბელადის, კონსტიტუციის შემოქმედის—დიდი სტალინის პატივსაცემად.

ტრიბუნაზე ადის ყოფილი მოჯამაგირე, სამოქალაქო ომის გმირი მუშა ამხ. კოზაევი.

მიტინგის შემდეგ, კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გაიმართა მასობრივი ნაციონალური ცეკვა, კონსტიტუციის სახელობის ფიზკულტურული კროსი.

ჩემი ახალი ვალდებულება

— როგორ სწავლობთ? — მკითხა ამხანაგმა სტალინმა.

ეს იყო გუშინ საბჭოების საგანგებო ყრილობის სარედაქციო კომისიის სხდომის შემდეგ.

მე ვიდექი პრეზიდიუმის მაგიდასთან. ამხანაგი სტალინი მომესალმა და მაშინვე ჩემ სწავლაზე შემეკითხა. დიდ ბელადს არა თუ ახსოვს, რომ მე უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობ, არამედ აინტერესებს კიდეც ჩემი წარმატებები. მე ვუპასუხე ამხანაგ სტალინს:

ვიდმინნო.

რუსულად ეს ნიშნავს: ფრიადზე. მაგრამ, ეს რომ ვთქვი, დავფიქრდი: წელს ხომ მე ჯერ გამოცდები არ მქონია, „ფრიადად" შეფასება მხოლოდ შარშან მივიღე. მაშასადამე გამოდის, რომ მე ვიკისრე ამხანაგი სტალინის წინაშე ახალი ვალდებულება — ჩავაბარო წლევანდელი გამოცდები „ფრიადზე". ვეცდები, რადაც უნდა დამიჯდეს, პირნათლად შევასრულო ეს ვალდებულება.

აი ახლაც ისე მოხდა, როგორც წარსულში სამჯერ, როდესაც ამხანაგ სტალინთან ვისაუბრე: ძვირფას ბელადთან ამ შეხვედრამაც ჩემი ცხოვრების ახალი ფურცელი გადაშალა.

მე ვისმენდი ამხანაგ სტალინის მოხსენებას კონსტიტუციის შესახებ, ვუცქეროდი მას ყრილობის სხვა სხდომათა დროს, სარედაქციო კომისიაში — და ყოველთვის მსურდა ახლო მივსულიყავი მასთან, ჩამომერთმია ხელი, გამოვლაპარაკებოდი ამ კაცს, რომელსაც ჩვენ ყველანი წინ მივყავართ, და რომელიც უფრო გაბედულსა და ძლიერს გვხდის ჩვენ. ამხანაგი სტალინის მიერ შექმნილი ჩვენი სამშობლოს კონსტიტუცია—ეს ჩვენი მამებისა და ძმების ოცნებაა, განხორციელებული ცხოვრებაში, ეს არის ის, რაც მილიონების შრომით შექმნილა დიდი სტალინის წინამძღოლობით. (საქტესი).

მარია დემჩენკო.

ქუთაისის მშრომელებმა 6 დეკემბერს უდიდესი ენტუზიაზმით იდღესასწაულეს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის მიერ სტალინური კონსტიტუციის დამტკიცება. სურათზე: კონსტიტუციისადმი მიძღვნილი მიტინგი ქუთაისში. მიტინგს 30 ათასი მშრომელი დაესწრო.

ფოტო მალიჯევისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მიტინგები თბილისის საწარმოებში

7 დეკემბერს თბილისის ყველა საწარმოში გაიმართა მიტინგები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს ისტორიულ მოვლენისადმი — საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის მიერ სტალინური კონსტიტუციის—სსრ კავშირის ბედნიერ ხალხთა დიადი ქარტიის დამტკიცებისადმი.

მიტინგები უდიდესი აღფრთოვანებით და ოვაციებით ჩატარდა.

პირველი სამკერვალო ფაბრიკა

ზარის ხმამ მუშებს ამცნო მუშაობის დამთავრება. 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის პირველი ცვლის მუშები და მუშაქალები შეგროვდნენ ფაბრიკის ეზოში მოწვეულ მიტინგზე. მიტინგის დაწყებისას მოვიდნენ მეორე ცვლის მუშა-ქალებიც.

ამხ. გოგისვანიძის მოხსენებას სტალინური კონსტიტუციის — სსრ კავშირის ბედნიერ ხალხთა დიადი ქარტიის შესახებ ისმენდა დაახლოებით 1.000 კაცი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში სამკერვალო ფაბრიკის ათასიანი კოლექტივი იწონებს მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ქვეყნის ახალ კონსტიტუციას და კისრულობს ღრმად შეისწავლოს იგი.

5 დეკემბერს საღამოს იმ ისტორიულ წუთებში, როცა ყრილობა ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდა, ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და ჩვენს ქვეყანას მისცა 9.200 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმი.

თბილისის ტრამვაი

თბილისის ტრამვაის 1200-ზე მეტი მუშა, მუშა-ქალი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი საყვირის შემდეგ შეიკრიბა მიტინგზე. მიტინგის მონაწილეებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს ამხ. მამალაშვილის ცნობა სტალინური კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ.

ტრამვაის წარჩინებულმა ადამიანებმა, სტალინური კონსტიტუციის დამტკიცების საპასუხოდ, იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი.

ტრამვაის ძველი მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. ჯავახოვმა.

ამხ. ჯავახოვმა თავისი საუბარი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— ჩვენ, ძველი მუშები სტალინურმა კონსტიტუციამ პირდაპირ გაგვაახალგაზრდავა. ვკისრულობთ მუშაობაში არ ჩამოვრჩეთ ჩვენს ძალღონით აღსავსე ახალგაზრდობას და ამ ვალდებულებას ჩვენ შევასრულებთ.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის 1.220 მუშა-ქალი და მუშა შეიკრიბა სტალინური კონსტიტუციის დამტკიცებისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ფაბრიკის მუშა-ქალები ამხ. გ. მამუჩიშვილი, ლენა ხავთასი, ვ. მუჯირიშვილი და სხვ., რომლებიც მიტინგზე გამოვიდნენ, ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ამხანაგ სტალინის მოხსენების და სტალინური კონსტიტუციის — სსრ კავშირის ბედნიერ ხალხთა დიადი ქარტიის ყველა პუნქტის გულდასმით შესწავლა.

საქსოვ საამქროს მეორე კომპლექტის მუშებმა ახალი კონსტიტუციის დამტკიცების დღისათვის დაამთავრეს წლიური გეგმა. მათ მოუწოდეს დანარჩენი კომპლექტების მუშებსა და მუშა-ქალებს მიბაძონ მათ მაგალითს.

საქნავთის მირზაანის უბნის გამარჯვება

საქართველოს ნავთის მთავარმა რაიონმა—ძიებათა მირზაანის ჯგუფმა 1 დეკემბრისათვის შეასრულა 1936 წლის ბურღვის გეგმა, გაბურღულია 10.366 მეტრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 8920 მეტრისა.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ჭაბურღილების დამთავრების გეგმა. 11 თვეში 9 ჭაბურღილის ნაცვლად დამთავრებულია 10. ყველა ჭაბურღილმა გამოცდის შედეგად ნავთის სამრეწველო ბუდობები გვიჩვენა.

სწრაფად ბურღვაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სტახანოველები, ბურღვის ოსტატები: ამხ. ლორთქიფანიძე, ჩხიკვაძე, მარსანოვი, მბურღავები: ფიფია, ბელდიშევსკი, ლესნოვი.

შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მირზაანის უბანი საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1937 წელს.

ციტრუსოვანთა კრეფა-ჩაბარება

ბათომის რაიონმა ციტრუსოვანთა კრეფა-ჩაბარების გეგმა 5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაჰბარდა 51.765 ათასი ცალი ხარისხოვანი მანდარინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50.545 ათასი ცალისა—გეგმა 102,4 პროც. შესრულდა.

კრეფა და ჩაბარება გრძელდება. ვკისრულობთ ვალდებულებას გეგმის გადამეტებით დავამზადოთ 500 ათასი ცალი ლიმონი და 2,5 მილიონი ცალი ფორთოხალი.

საქ. კ.პ. (ბ) ბათომის რაიკომის მდივანი შ. ცქვიტინიძე.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე თ. ჯაში.

დადგენილება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიისა

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფაბრიკა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში" და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეტალურგიულ ქარხანაში ხელფასის ფონდების გადახარჯვის შესახებ

საბჭოთა კონტროლის კომისიის შემოწმებით გამოირკვა, რომ მოსკოვის ფაბრიკა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში" (დირექტორი ამხ. ანდრეევი) და ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში (დირექტორი ამხ. პენკინი) ხელფასის ფონდები იხარჯებოდა დამტკიცებული გეგმების შესრულების არაშესაბამისად და უყაირათოდ.

მოსკოვის ფაბრიკა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში" 1936 წლის გასული სამი კვარტალის განმავლობაში, გეგმის 95 პროცენტით შესრულებისას, ხელფასის ფონდების ხარჯი შეადგენდა 109 პროცენტს.

ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში 1936 წლის გასული სამი კვარტალისა და ოქტომბრის განმავლობაში გეგმის 97 პროცენტით შესრულებისას, ხელფასის ფონდების ხარჯი შეადგენდა 120 პროცენტს.

ასეთი დაუშვებელი გადახარჯვა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ ნაცვლად გამომუშავების ახალი ნორმების ათვისებისათვის ბრძოლისა და შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვისა, ნაცვლად წარმოების სწორი ორგანიზაციისა, ამ საწარმოთა ხელმძღვანელნი და ტექნიკური პერსონალი სისტემატურად მიმართავდნენ იერიშობანას, ზედმეტ და სანარდო მუშაობას, აგრეთვე უხეშად არღვევდნენ ფინანსურ დისციპლინას, ჯამაგირს უდიდებდნენ მოსამსახურეებს, საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკებს და იწერდნენ ყოველნაირი სახის დამატებითი გასამრჯელოთა და ჯილდოების გადიდებული რაოდენობით გაცემას.

დაუსაბუთებელ და უკონტროლო ზედმეტ და სანარდო მუშაობას, ყოველნაირ დამატებით გასამრჯელოთა და ჯილდოების გადიდებული რაოდენობით გაცემას განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ ლენინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისია ადგენს:

1. ხელფასის ფონდების უყაირათოდ ხარჯვისათვის:

მოსკოვის ფაბრიკის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" დირექტორს ამხ. **ანდრეევს** და ამ ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს ამხ. **ერმოლაევს** გამოეცხადოთ საყვედური;

ლენინგრადის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ამხ. **პენკინს** და მთავარ ბუღალტერს ამხ. **ხედოვს** გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

2. წინადადება მიეცეთ სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ხელფასის ფონდების ხარჯვას საწარმოო გეგმების შესრულების სავსებით შესაბამისად და შემოიღონ ისეთი წესი, რომელიც მომავალში უეჭველად აღკვეთავს ხელფასის ფონდების გადახარჯვის შესაძლებლობას, როგორც ამ საწარმოებში, ისე იმ სხვა საწარმოებში, რომლებშიაც არის ხელფასის ფონდების გადახარჯვა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე —
ნ. ანტიპოვი.
საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს მდივანი —
ა. ნაზარეტიანი.



ნაწილი სურათებისა, რომლებიც გამოგზავნილია კატალონიის (ესპანეთი) პროპაგანდის კომისარიატის მიერ. ეს სურათები ერთხელ კიდევ ადასტურებს მეამბოხე ფაშისტების ბარბაროსობას.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვაიოს განცხადება

ვალენსია, 7 დეკემბერი. (საქდესი). საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაიომ ჟენევაში გამგზავრების წინ განაცხადა:

„ესპანეთის დელეგაცია ჟენევას მიემგზავრება არა იმ მიზნით, რომ ითხოვოს რამე ესპანეთისათვის. მას სურს მოითხოვოს, რომ ლიგის წესდება დაიცვან და იმავე ზომით გამოიყენონ ლიგაში შემავალმა სახელმწიფოებმა, რა ზომითაც მას პატივს სცემს და იყენებს თავისი წარმოშობის მომენტიდან ესპანეთის რესპუბლიკა. ჩვენ ვწუხვართ, რომ დავარღვევთ იმათ სიმშვიდეს, ვისაც არ სურს გამოტყდეს, რომ ომი უკვე დაიწყო. ეს მოხდა იმათ წინაშე მთელი რიგი კაპიტულაციების შედეგად, რომლებიც ემზადებიან გახდნენ ევროპის ფაქტიურ ბატონებად, ვინაიდან, როგორც ჩანს, არავინ არ ფიქრობს ხელი შეუშალოს მათს დამღუპველ მოქმედებას, რომელიც გიგანტური ტემპებით გვიახლოვებს მსოფლიო ხანძარს, უფრო საშინელს, ვიდრე 1914 წელს იყო. მაგრამ რარიგ უსიამოვნოც უნდა იყოს იმის როლი, ვინც სხვა ადამიანთა უდარდელ თვლემას სწყვეტს, ჩვენი მოვალეობა ერთა ლიგისა და მსოფლიოს წინაშე გვავალებს ავტეხოთ განგაში, და შემდეგ თვითეულმა თვითონ გასცეს პასუხი".

◇ ◇

ამხ. მაისკის წერილი ლორდ პლიმუტს

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). კადიქსში და ესპანეთის სხვა პუნქტებში მეამბოხეთა დასახმარებლად რამდენიმე ათასი გერმანელი ეგრეთწოდებული „მოხალისის" ჩასვლასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ 4 დეკემბერს წერილი გაუგზავნა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა ლონდონის კომიტეტის თავმჯდომარეს ლორდ პლიმუტს. ამხ. მაისკი წერილში წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ესპანეთის საქმეებში ჩარევის ამ ახალი ფორმის წინააღმდეგ. ამხ. მაისკი წინადადებას იძლევა ჩაურევლობის შეთანხმების ვალდებულება, აგრეთვე გათვალისწინებული კონტროლი გავრცელდეს ესპანეთში „მოხალისეთა" გაგზავნაზე.

ინგლისის პარლამენტის წევრთა მოთხოვნა

ლონდონი, 5 დეკემბერი (საქდესი). „ტაიმსი" დღეს ბეჭდავს წერილს, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის ზოგიერთი ლიბერალი და კონსერვატორი წევრი, მათ რიცხვში ეკლინი, მანდერი, ადამსი, აგრეთვე ზოგიერთი ცნობილი მწერალი, ეკონომისტი და მეცნიერი, მათ შორის ჰექსლი, პრისტლი, ბულეტი, კოლი, ხოგბენი. ისინი მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ არ იცნოს გენერალ ფრანკო მეომარ მხარედ და მიაღწიოს იმას, რომ ჩაურევლობის პოლიტიკა ისეთივე სიმკაცრით გატარდეს გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ, როგორც ტარდება ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ. წერილის ავტორები აღნიშნავენ რომ გენერალი ფრანკო ეყრდნობა მაროკოელ ჯარს და გერმანიისა და იტალიის მფრინავებს.

საწუხაროა, ნათქვამია წერილში, რომ ინგლისის მთავრობამ არ განუცხადა გენერალ ფრანკოს პროტესტი მადრიდის დანაშაულებრივი ბომბარდირების წინააღმდეგ. გენერალ ფრანკოს არმიის ახლანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მან ვერსად ჰპოვა მხარდამჭერი ესპანეთის მოსახლეობის მხრივ და რომ ამბოხება დაუყოვნებლივ დამარცხდებოდა, რომ არ ყოფილიყო დახმარება უცხოეთის ჯარითა და იარაღით.

◇ ◇

მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალთა თათბირი პარიზში

პარიზი, 7 დეკემბერი. (საქდესი). 4 და 5 დეკემბერს ესპანეთის „მუშათა საყოველთაო კავშირის" თხოვნით პარიზში შედგა მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალთა გაერთიანებული თათბირი.

დაესწრნენ 30 ქვეყნის დელეგატები. ერთსულოვნად მიღებული რეზოლუცია სალამს უთვლის ესპანელ მებრძოლთ, რომელნიც წარმატებით იბრძვიან ფაშისტების წინააღმდეგ. პროტესტს აცხადებს რა ფაშისტური იტალიისა და გერმანიის მიერ მეამბოხეებისათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ, რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ერთი საზომით მიუდგე ესპანეთის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას და ვიღაც გენერალთა სისხლისმსმელ ბანდას. ესპანეთის მთავრობას სრული უფლება აქვს მოიპოვოს თავდაცვისათვის ყველა აუცილებელი საშუალებანი. ხაზს უსვამს რა იმას, რომ საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს უცხო ფაშისტური სახელმწიფოების მიერ ესპანელ ფაშისტების მომარაგებას, რეზოლუცია მოუწოდებს მუშათა ორგანიზაციებს, რომელნიც ემხრობიან მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალებს, ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუშალონ მეამბოხეთა მომარაგებას და წინადადებას იძლევა მოეწყოს ამ მიზნით ნაციონალური კომიტეტები.



GENERALITAT DE CATALUNYA
COMISSARIAT DE PROPAGANDA

Avinguda 14 d'Abril, 442 bis, principal
Telèfon 73289

Que le monde civilisé soit juge des crimes abominables commis par les rebelles espagnols...

Les 6 et 7 Novembre, en plein jour, volant à très faible altitude, l'aviation fasciste a bombardé délibérément, à Madrid, des marchés où des femmes faisaient leurs approvisionnements, et des squares où jouaient de nombreux enfants.

Les photographies ci-jointes représentent quelques-unes des centaines de ces innocentes victimes, ainsi qu'une bombe non éclatée, de fabrication étrangère.

Comissariat de Propaganda
Generalitat de Catalunya

კატალონიის მთავრობა

პროპაგანდის კომისარიატი

14 აპრილის პროსპექტი, 442 ხს
მთავარი ტელეფონი 73289

დაე მთელი ცივილიზებული მსოფლიო იყოს მოწმე ესპანელ მეამბოხეთა მიერ ჩადენილი საზიზღარი ბოროტმოქმედებისა...

6 და 7 ნოემბერს, დღისით, ფაშისტურმა ავიაციამ, რომელიც მეტად დაბლა დაფრინავდა, მოურიდებლად დაუშინა ყუმბარები ბაზრებს, სადაც ქალები სურსათს ყიდულობდნენ, და სკვერებს, სადაც მრავალი ბავშვი თამაშობდა.

თანდართული სურათები წარმოადგენენ მხოლოდ რამდენიმე მსხვერპლს იმ მრავალ ასეულთაგან, რომლებიც ფაშისტებმა უდანაშაულოდ დახოცეს.

ბეჭედზე: „პროპაგანდის კომისარიატი კატალონიის მთავრობა".

ესპანეთის ფრონტებზე

მთავრობის ჯარების შეტევა ბურგოსზე

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საქდესი). ბილბაოდან მიღებული ცნობებით, ბურგოსს ორი მხრიდან მოელის საფრთხე: ბილბაოს მხრიდან და სანტანდერის მხრიდან. რესპუბლიკელთა ჯარები, რომლებიც სანტანდერის მხრიდან უტევენ, მიუახლოვდნენ სედანოს (40 კილომეტრის მანძილზე ბურგოსის ჩრდილოეთით). ამ ჯარებმა, რომლებიც ბილბაოს მხრიდან მიიმართებიან, მარჯვენა ფლანგზე წინ წაიწიეს ისარამდე და რკინიგზის ხაზამდე, რომელიც ბილბაოდან მოდის, და მიაღწიეს პუნქტს მირანდა დელ ებროს მახლობლად. ამავე დროს ბასკების რაზმებს იერიში მიაქვთ ვილარეალზე. მათ დაიკავეს ესპინოს მთა, რომელიც გაბატონებულია ვილარეალზე.

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საქდესი). სანტანდერიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის ჯარებმა დაიკავეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ახალი პოზიციები. დაკავებულია მდინარე ებროს ნაპირები აგრეთვე 4 სოფელი და ამრიგად გზა ხსნილია შეტევისათვის ბურგოსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ.

მთავრობის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ივისის ნავსადგურს

ვალენსია, 7 დეკემბერი. (საქდესი). ესპანეთის საზღვაო ფლოტისა და ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ მთავრობის თვითმფრინავთა ესკადრილია გაფრინდა კუნძულ ივისაზე. მან წარმატებით დაუშინა ყუმბარები ივისის ნავსადგურს, სადაც, როგორც ბალეარის კუნძულების სხვა ნავსადგურებშიც, მეამბოხენი საომარ სამზადისში იყვნენ.

ბისკაის ფრონტზე მთავრობის თვითმფრინავებმა ვილარეალში ჩამოყარეს 100-ზე მეტი ყუმბარა.

მეამბოხეებმა ყუმბარები დაუშინეს გვადალახარას

პარიზი, 7 დეკემბერი. (საქდესი). ესპანეთის სამხედრო სამინისტროს გუშინდელ ცნობაში ნათქვამია, რომ მეამბოხეთა 23 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა, რომლებსაც რამდენიმე გამანადგურებელი ახლდათ, გვადალახარაში ჩამოყარეს მრავალი ყუმბარა, მათ შორის — ცეცხლწამკიდებელი ყუმბარები, რამაც ხანძარი გააჩინა რამდენიმე სახლში. მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი ჯერ გამოურკვეველია.

მეამბოხეთა ავიაგამანადგურებლებმა მოახდინეს რეიდი მადრიდზე, მაგრამ დავალება ვერ შეასრულეს, ვინაიდან მათ დაუყოვნებლივ დაუხვდა მთავრობის ავიაცია. ბრძოლაში ჩამოაგდეს მეამბოხეთა 3 თვითმფრინავი.

ესპანეთის მეამბოხეთა გაქცევა მაროკოში

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). როიტერის სააგენტოს ცნობებით, 50-ზე მეტი ცხენოსანი იარაღითა და საომარი მასალით გაიქცა ესპანეთის მეამბოხეთა არმიიდან მაროკოში და ჩავიდა ტანჟერში. იქ ესპანეთის მთავრობის გენერალურ კონსულს მათ აცნობეს, რომ სურთ მთავრობის არმიაში შესვლა.

ამ დღეებში ტანჟერიდან ალიკანტეს მიმართულებით გავიდა საფრანგეთის სამი გემი, რომლებზედაც იმყოფება ესპანეთის მთავრობის რამდენიმე ასეული მომხრე მაროკოს სხვადასხვა რაიონიდან.

○

კანარის კუნძულების ოკუპაცია გერმანიის მიერ

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). „დეილი ჰერალდი" იუწყება, რომ გერმანელებმა დაიკავეს კანარის კუნძულები და იქ აძლიერებენ თავის კონტროლს, იმის მსგავსად, როგორც იტალიელები პარპაშობენ ბალეარის კუნძულებზე. ლას-პალმასის ნავსადგური სულ უფრო და უფრო ხდება გერმანიის საზღვაო ბაზად ატლანტის ოკეანეში.

უკანასკნელი ცნობები

მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 8 დეკემბერი (საქდესი). ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნებულია მადრიდში საღამოს 7 დეკემბერს, ნათქვამია, რომ 14 საათზე მეამბოხეთა ბატარეებმა გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები ესკორიალის რაიონს. არის რამდენიმე დაჭრილი.

მადრიდის ფრონტზე მთელ დღეს სიწყნარე იყო. მტერი უმოქმედობას იჩენდა. კარაბანჩელის ახლოს მთავრობის ჯარებმა მატადოროსის რაიონში დაიპყრეს მთელი რიგი სახლები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საფორტიფიკაციო სამუშაოს.

ჩვრით გატენილი ყუმბარები

ლონდონი, 8 დეკემბერი (საქდესი). როგორც „ნიუს ქრონიკლი" გადმოგვცემს, ინტერნაციონალური კოლონის მეომრები მეამბოხეთაგან გასროლილ აუფეთქებელ ყუმბარებში ხშირად პოულობენ ფეთქებად ნივთიერებათა ნაცვლად ჩვრით გატენილ ყუმბარებს. ზოგიერთ ამ ყუმბარაში აღმოჩენილია ქაღალდის ნაგლეჯები სიტყვებით „როტ ფრონტ" იტალიურსა და გერმანულ ენებზე.

◇ ◇

ესპანეთის ფაშისტი მეამბოხენი კვლავ [illegible] საბჭოთა გემებს

მოსკოვი, 5 დეკემბერი (საქდესი). როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს, უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა ესპანეთის ფაშისტების პირატულ თავდასხმებს საბჭოთა გემებზე გიბრალტარის სრუტესა და ხმელთაშუაზღვის რაიონში.

1936 წლის 28—30 ნოემბრის განმავლობაში მეამბოხეთა სამხედრო გემებმა სატვირთო დოკუმენტებისა და ტვირთის გასინჯვის მიზნით გიბრალტარის სრუტის გავლის დროს დააკავეს შემდეგი საბჭოთა გემები:

თბომავალი „რიონი", რომელიც დანციგიდან მიდიოდა ბათომში და ირანისათვის მიჰქონდა 1.500 ტონა სატრანზიტო ტვირთი;

გემი „კოსარევი", რომელიც მიდიოდა ინგლისიდან და მიჰქონდა ინგლისის ქვანახშირი ორანის ნავსადგურში (საფრანგეთის მაროკო);

ტანკერი „ემბა", რომელსაც ტუაპსიდან მიჰქონდა 10 ათასი ტონა ნავთის პროდუქტი ავონმაუსის ნავსადგურში (ინგლისი) და ტალინში (ესტონეთი);

3 დეკემბერს კაზაბლანკიდან (საფრანგეთის მაროკო) გამოსული გემი „ხარიტონ-ხალტურინი" მას შემდეგ, როცა იქ გადატვირთა არხანგელსკიდან წაღებული ხე-ტყე, გიბრალტარში გასვლის დროს დააკავეს და წაიყვანეს სეუტაში. იგი 4 დეკემბერს, დათვალიერების შემდეგ, გაუშვეს და მიიმართება ნოვოროსიისკისაკენ.

გემი „შჩორსი" 25 ნოემბერს გავიდა როტერდამიდან და იტალიისათვის ბანიოლში მიჰქონდა 5.800 ტონა გერმანული ქვანახშირი. 1 დეკემბერს 16 საათსა და 30 წუთზე გიბრალტარში მას სროლა აუტეხეს მეამბოხეებმა. მეამბოხენი ცდილობდნენ „შჩორსი" დარაზმული თანხლებით წაეყვანათ სეუტისკენ, მაგრამ „შჩორსის" კაპიტანი არ დაემორჩილა მეამბოხეთა მოთხოვნას და განაგრძობდა სვლას თავისი გეზით. უკანასკნელი ცნობებით, „შჩორსი" უახლოვდება ორანს.

გემი „ხარკოვი", რომელიც როტერდამიდან მიდიოდა პორტ-ფერაიოში და მიჰქონდა 9.600 ტონა გერმანული ქვანახშირი იტალიისათვის, 30 ნოემბერს დააკავეს მეამბოხეთა სამხედრო გემებმა და კრეისერ „კანარიასის" თანხლებით წაიყვანეს პალმის ნავსადგურში კუნძულ მაიორკაზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მიღებული, ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობებით, გემი „ხარკოვი", აგრეთვე გემი „ჩუბარი", რომელიც, როგორც წინათ ვიუწყებოდით, 27 ნოემბერს ფაშისტმა პირატებმა ძალით წაიყვანეს პალმის ნავსადგურში (კუნძულ მაიორკაზე), 2 დეკემბერს ღამით განაგრძეს გზა დანიშნულების ადგილისაკენ.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ესპანეთის მეამბოხეთა პირატულ ქცევას ბოლო არ ელება, პირიქით, იგი სულ უფრო გაბოროტებული და სისტემატური ხდება. თავისი პროვოკაციული და დანაშაულებრივი მოქმედებით ფაშისტი მეამბოხენი სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საზღვაო ნაოსნობის უშიშროებას ხმელთაშუაზღვის გზებზე.

კულტურის განძეულის ევაკუაცია მადრიდიდან

ვალენსია, 6 დეკემბერი (საქდესი). როგორც განათლების მინისტრმა ერნანდესმა აღნიშნა, გუშინ ვალენსიაში მადრიდიდან 5 სატვირთო ავტომობილით ჩამოიტანეს ძვირფასი წიგნები, სურათები, ქანდაკებანი და ხელოვნების სხვა ნაწარმოები. მოელიან კიდევ რამდენიმე ტრანსპორტს, ვინაიდან მადრიდში დარჩა მრავალი კულტურული ძვირფასი განძეული, რომლებიც შეიძლება დაიღუპოს ფაშისტ მეამბოხეთა მხრივ ბომბარდირების დროს. ესპანეთის ნაციონალური კულტურის საგანძურთა ევაკუაცია ხდება კომპარტიისა და მე-5 პოლკის ინიციატივით.

გ. სურგულაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი

პარტმუშაობის ზოგიერთ საკითხებზე

მიუხედავად მრავალი მითითებისა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაეუმჯობესებინათ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, — ზოგიერთმა პირველადმა პარტორგანიზაციამ მაინც ვერ უზრუნველჰყო ამ მუშაობის გაუმჯობესება. მაგალითად, თელავის რაიონის ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, როგორც წესი, ტარდება ღია კრებები. აკურის პირველადს საკოლმეურნეო ორგანიზაციას 1936 წლის თებერვლიდან აგვისტომდე მოუწვევია სულ 27 კრება, მათ შორის 20 ღია და 7 დახურული. აქედან ნათლად ჩანს, რა ყურადღებას აქცევს აკურის პარტიული ორგანიზაცია კომუნისტების პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

შემთხვევითი როდია, რომ აკურის პირველადი საკოლმეურნეო ორგანიზაცია პარტიულ კრებებს მოუმზადებლად მართავს. კრებების დადგენილება ატარებს მშრალსა და ფორმალურ ხასიათს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთერთი კრების დადგენილება მეტად მნიშვნელოვან საკითხზე: „მივუთითოთ ყველა პარტიის წევრებს, განსაკუთრებით კი ამხ. მიქელაძეს, რათა უფრო მეტად იმუშაოს თავის თავზე და აამაღლოს თავისი პოლიტიკური ცოდნა. პარტიული კრებების მოწვევა და დღის წესრიგის შემუშავება მოხდეს ყველა პარტიის წევრებთან და უპარტიო აქტივთან ერთად. დაევალოს თანამგრძნობებზე მიმაგრებულ ამხანაგებს, რომ მათთან აწარმოონ განსაკუთრებული მუშაობა მათი პარტიაში მისაღებად მომზადების მიზნით. დაევალოს კომკავშირზე მიმაგრებულ ამხანაგს გააძლიეროს მუშაობა კომკავშირში" (ოქმი № 71).

დამახასიათებელია, რომ თელავის რაიონის აკურის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ასეთ დადგენილებას ღებულობს რაიკომის მდივნის ამხ. კარსანიძის მოხსენების გარშემო პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგებზე. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თელავის ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, განსაკუთრებით აკურის, წინანდლის და ქვემო ხოდაშნის საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა ვერ გაიგეს პარტიული დოკუმენტების გამოცვლის უდიდესი პოლიტიკურ - ორგანიზაციული მნიშვნელობა.

ასევე საერთო ხასიათის დადგენილება მიიღო პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგებზე წინანდლის საკოლმეურნეო ორგანიზაციამ. ხოლო ქვემო ხოდაშნის პირველადს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ოქმში სრულებით არ აღმოჩნდა პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგების დამუშავება. როგორც აკურისა და წინანდლის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების კრებების ოქმებიდან ჩანს, კამათში ორგანიზაციის არცერთ წევრს არ მიუღია მონაწილეობა.

აკურისა და წინანდლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში არც პარტიულ დავალებათა განაწილების საქმეა კარგად. კომუნისტების ბოლშევიკური აღზრდის საქმეში პარტიულ დავალებათა სწორ განაწილებას და მისი შესრულების შემოწმებას უდიდესი ადგილი უჭირავს, მაგრამ თელავის რაიონის აკურის, წინანდლის და ქვემო ხოდაშნის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტების აღზრდის ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. პარტიულ დავალებათა განაწილება ხდება ფორმალურად და თითქმის ყოველგვარი პარტიული პასუხისმგებლობის გარეშე. პარტიის წევრები და კანდიდატები მიმაგრებული არიან საკოლმეურნეო ბრიგადებზე და დავალებული აქვთ თვალყური ადევნონ ბრიგადის მუშაობას. მიმაგრებული კომუნისტები არსებითად ბრიგადირების მოვალეობას ასრულებენ. პარტიულ დავალებათა ასეთ „განაწილებას" დიდი ზიანი მოაქვს, რადგან ხდება ბრიგადირის გაუპიროვნება, ხოლო კომუნისტები ნამდვილად არავითარ პარტიულ დავალებებს არ ასრულებენ.

შემთხვევითი როდია, რომ წინანდლის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის წევრმა ამხ. ელიზბარაშვილმა არც კი იცოდა, რომ მას დავალებული ჰქონდა კედლის გაზეთის ხელმძღვანელობა, ამიტომ მას ამ დავალების შესრულებაზე არც კი უფიქრია.

წინანდლის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც 7 წევრისა და 1 კანდიდატისაგან შესდგება, ჯერ კიდევ 29 ივლისს რაიკომის მდივნის [illegible] საკითხი პარტიული სკოლის მეცადინეობის ხშირად ჩაშლისა და საერთოდ სუსტი მომზადების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პარტორგანიზაციის კრებაზე პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგების მოსმენის დროს [illegible] თვით განრიგში, [illegible] და „ოქტომბერში" პარტიული სკოლის მეცადინეობა არ ყოფილა.

კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის საქმეში თელავს არ „ჩამორჩება" გურჯაანის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია. გურჯაანის რაიონის ალაზნის ელსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრები, კანდიდატები და თანამგრძნობები მეცადინეობენ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანის მომზადება ვერ აკმაყოფილებს პარტისტორიის შემსწავლელი წრის მოთხოვნილებას მათი სუსტი პოლიტიკური მომზადების გამო. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ბანდუკოვი პოლიტიკურად ძლიერ სუსტია. მიუხედავად ამისა, ამხ. ბანდუკოვმა ვერ დაიმსახურა პარტორგანიზაციის ყურადღება იმ მხრივ, რომ ის გადაეყვანათ ნორმალური ტიპის სკოლაში, სადაც მას უფრო მეტი შეეძლო მეცადინეობა. პარტიული ორგანიზაცია ძლიერ სუსტად მუშაობს პარტიაში ახალი წევრებისა და კანდიდატების მიღებისათვის.

პარტიაში ახალი წევრებისა და კანდიდატების მიღების მხრივ ასეთივე სუსტ მუშაობას იჩენს „ოქტომბრის რევოლუციის" სახელობის პირველადი საკოლმეურნეო ორგანიზაცია. პარტიის წევრი ამხ. ბეჟიაშვილი მიმაგრებული იყო თანამგრძნობ მეხრიშვილზე, მაგრამ ამხ. ბეჟიაშვილმა არავითარი დახმარება არ გაუწია თანამგრძნობ მეხრიშვილს, ახლა კი დასმულია საკითხი მეხრიშვილის თანამგრძნობობიდან გარიცხვის შესახებ, რადგან ის უკანასკნელი არ ესწრებოდა არც პოლიტსკოლის მეცადინეობას, არც ღია პარტიულ კრებებს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ „ოქტომბრის რევოლუციის" სახელობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს თანამგრძნობებთან, საკ. კ. პ. (ბ) რიგების შევსების ამ უმნიშვნელოვანეს რეზერვთან, და არ ამოწმებს საკუთარი დადგენილებების შესრულებას თანამგრძნობებთან მუშაობის შესახებ.

ანალოგიური მდგომარეობა გამომჟღავნებულ იქნა „ლენინის ანდერძის" საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციაში (გურჯაანი). 25 აგვისტოს „ლენინის ანდერძის" პირველადმა პარტორგანიზაციამ ღია კრებაზე მოისმინა ორი თანამგრძნობის თვითანგარიში — მ. გოგიაშვილისა და ს. სესიაშვილისა. მიუხედავად იმისა, რომ გოგიაშვილის პოლიტიკური მომზადება და პრაქტიკული საქმიანობა ძირითადად განსხვავდება სესიაშვილის მომზადებისა და ძისი საქმიანობისაგან, პარტორგანიზაციამ ეს განსხვავება ამ ორ თანამგრძნობს შორის ვერ დაინახა და ორივეს შესახებ მიიღო ერთი საერთო დადგენილება, ისიც კაზიონური ხასიათისა: „წინადადება მიეცეთ გოგიაშვილსა და სესიაშვილს ყოველდღიურად იმუშაონ თავის თავზე". ასეთივე ამბავი მოხდა 10 აგვისტოს (ოქმი №10). პარტორგანიზაციამ მოისმინა კიდევ ორი თანამგრძნობის — მაქრო თოთოხოშვილისა და გიორგი კობიაშვილის — მოხსენება და აქაც ისეთივე კაზიონური ხასიათის დადგენილება მიიღო, როგორც პირველ შემთხვევაში: „წინადადება მიეცეთ თოთოხოშვილსა და კობიაშვილს ყოველდღიურად იმუშაონ თავის თავზე".

თანამგრძნობებთან მუშაობის ასეთი მდგომარეობა მოწმობს, რომ ზოგიერთი რაიონული ხელმძღვანელი არ იცნობს თანამგრძნობთა შორის მუშაობას, არ იცნობს თვითეულ თანამგრძნობს, თუ რას წარმოადგენს იგი, და ამიტომ ხდება, რომ თანამგრძნობთა შორის მუშაობა ფორმალური თვითანგარიშების მოსმენითა და რეზოლუციებით იფარგლება.

კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების თვითანგარიშებს, როგორც თვითეული პარტიის წევრის მუშაობის კოლექტიური პარტიული შემოწმების ერთერთ ფორმას. საქ. კ.პ. (ბ) პარტორგანიზაციებმა თვითანგარიშების მოსმენის დროს უნდა იხელმძღვანელონ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წ. 29 მარტის მითითებით, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ის შეცდომები, რომელნიც ამ მხრივ გვხვდება ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წ. 29 მარტის დადგენილება პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობაზე, დღემდის რჩება ძალაში, როგორც უაღრესად დიდი მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტი. სამწუხაროდ, ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ამ უდიდესი მნიშვნელობის მითითებას კომუნისტების თვითანგარიშების შესახებ არ ასრულებენ და მას ფორმალურად ატარებენ.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაცია თავის კრებაზე ისმენს ვლადიმერ სარჯველაძის, ალექსანდრე ტუღუშის და გერასიმე გოგიჩაიშვილის თვითანგარიშებს. პარტორგანიზაციამ სამივე ამხანაგის თვითანგარიშების გარშემო მიიღო ასეთი დადგენილება: „დაევალოს სარჯველაძეს, ტუღუშს და გოგიჩაიშვილს აამაღლონ თავიანთი მომზადება და იკითხონ მხატვრული ლიტერატურა". სოფ. ბორითის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაცია (ორჯონიკიძის რაიონი) 10 აგვისტოს ისმენს ორგანიზაციაში მყოფ ყველა პარტიის წევრის (ოქმი № 38) — ლ. სეფისკვერაძის, მ. სეფისკვერაძის და პ. სახვაძის თვითანგარიშებს. პარტიის სამივე წევრის თვითანგარიშების გარშემო ორგანიზაციამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „დაევალოს ყველა პარტიის წევრებს და კანდიდატებს უფრო ფხიზლად იბრძოლონ ზინოვიევისა და კამენევის ჯგუფის წინააღმდეგ".

ზემო-ოსიაურის პირველადმა პარტორგანიზაციამ (ხაშური) ერთ კრებაზე (ოქმი № 8) მოისმინა თვითანგარიშები ორგანიზაციაში მყოფ ყველა პარტიის წევრისა, კანდიდატებისა და თანამგრძნობებისა — ტუღუაშვილის, ახალკაცის, ცოცხიშვილის, გოგლოევისა და ბადრიანცის. აღნიშნული ამხანაგების თვითანგარიშების გარშემო პარტორგანიზაციამ მიიღო კაზიონური დადგენილება: „მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად".

ზემოაღნიშნული ფაქტები ლაპარაკობენ, რომ ხსენებულ პარტორგანიზაციებში ვერ გაიგეს საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მითითება კომუნისტების თვითანგარიშების შესახებ, ვერ შეაფასეს მისი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და ამის შედეგად კომუნისტების თვითანგარიშებს ფორმალური ხასიათი მისცეს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მისცა გარკვეული მითითება პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისა და პარტიაში ახალი მიღების დაწყების შესახებ. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებანი და განუხრელად განვახორციელოთ პლენუმის მითითებები.

◆

კოლმეურნე ფერაძის თავგადასავალი

ორჯონიკიძის რაიონი. „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან

ეს ამბავი ძველია, სულ ცოტა, 7-8 წლისა მაინც იქნება. მას ერთგვარი „რომანტიული" დასაბამი აქვს.

ბაგრატ ლონლაძე იმ დროს სოფელ ვახანში (ორჯონიკიძის — ყოფ. ხარაგოულის — რაიონი) უკვე ცნობილი „კომუნისტი" იყო, თავი უძლეველ ბაყბაყდევად მოჰქონდა და საზიზღრად თვითნებობდა.

რამოდენიმე წლის წინათ ბაგრატმა თავისი მეზობლის მიტუშა ფერაძის ცოლს აედევნა და მანამდე არ მოეშვა სანამ... მალე ეს ამბავი გახმაურდა და მ. ფერაძის სახლში უსიამოვნება დატრიალდა. საქმე ცოლქმრის გაყრით დასრულდა. გარყვნილმა ბაგრატ ლონლაძემ ამრიგად ერთ მშრომელ პატიოსან ოჯახს ძირი გამოუთხარა.

მიტუშა ფერაძემ ლონლაძეს მუშგლეხინში უჩივლა, მისი უზნეო საქციელის გამო რომ ოჯახი დაენგრა. ამ საჩივარს ბ. ლონლაძის სხვა მრავალი სამსახურებრივი დანაშაული და კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი (მაგალითად, დედის ქალებით გასვენება) დაემთხვა და ლონლაძე პარტიიდან გაირიცხა. მაგრამ მან იმდენი იკვეხა, რომ რაღაც მაქინაციებით მაინც აღიდგინა თავი პარტიაში (ახლაც კი ითვლება პარტიის წევრად!).

ბ. ლონლაძე ამას შემდეგ მეტად ფრთხილად იქცეოდა. ფერაძის „მოსაჰკვიანებლად" თავისი ჩაბიჭი ლადო მაღრაძე აამუშავა, თვითონ კი საფარს ამოეფარა.

O

იმ ხუთიოდე წლის წინათ მიტუშა ფერაძეს დავა ატყდა მეზობელთან სახქეფიას მთაზე გაშენებული ბაღის საზღვრების გამო. სადავო საკითხის მოსაგვარებლად მ. ფერაძემ სოფლის საბჭოს მიმართა. ვახანის საბჭომ საკითხის გამოსარკვევად და მოსაგვარებლად კომისია გაგზავნა. ამ კომისიას ლადო მაღრაძე მეთაურობდა. ლადომ მეზობლების დავა ასე „მოაგვარა": სადაო საზღვრებზე ღობე სულ მოარღვია და მიმოფანტა (მ. ფერაძეს ეს ბაღი ეკლიანი მავთულით ჰქონდა შემოღობილი და შიგ ფუტკარიც ედგა — იგი გამოცდილი მეფუტკრეა). ბაღში საქონელი შევიდა და ახლად გაშენებული ხეხილი გადაჭამა. მ. ფერაძემ ბაღის ზარალი რაიონში იჩივლა. ეს მოხდა, მგონი, 1932 წელს. ამ საჩივარს ყურადღება არავინ მიაქცია. ამით გათამამებულმა ლ. მაღრაძემ შემდეგ წელს გადასწყვიტა „თავხედი" ფერაძის კიდევ ერთხელ დასჯა, ჩვეული როგორც გამიხედაო — ჯაერობდა მაღრაძე. ადგა და მეორედ გაკეთებული ღობე ახლა კიდევ უფრო დიდ მანძილზე მოურღვია. ბაღს ისევ საქონელი შეესია და ახალი ნარგავები სულ გაანადგურა.

ფერაძემ იმდენი ილონა, რომ საბჭოს კომისია გამოაყოფინა. ზარალი 2500 მანეთამდე იქნა შეფასებული. ზარალის გამო უჩივლა ლადო მაღრაძეს რაიმიწგანში. აქ კი ბიუროკრატებმა საჩივარი და ზარალის შეფასების ქაღალდი მაგიდქვეშ ამოსდვეს. შემდეგ კი ეს ქაღალდები სულაც „დაიკარგა".

ახლა პროკურატურას მიმართა ფერაძემ დახმარებისათვის, რაისახალხო სასამართლოშიაც შეიტანა საჩივარი მიყენებული ზარალის თაობაზე. მაგრამ... „არსით ხმა, არსით ძახილი", არაფერი გამოვიდა! იჩივლა რაიაღმასკომში, მაგრამ აქაც ბაგრატისა და ლადოს ძმა-ბიჭები აღმოჩნდნენ. ლადოს ტყუილს უჯერდნენ. მიტუშას კი მართალსაც არ უსმენდნენ.

ახლა არამარტო პირად შევიწროებას და მიყენებულ ზარალს სჩიოდა ფერაძე, არა, ამასთანავე იგი ამხელდა ვახანის „მესვეურთა" ლოთობას, უწესობას და საზოგადოებრივი ქონების განიავებას (ამ დროიდან ლ. მაღრაძე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა).

ფერაძის სიგნალის შედეგად ორჯონიკიძის რაიონულ გაზეთმა — „ლენინის დროშით" — შეისწავლა სოფ. ვახანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მდგომარეობა და გასულ წლის 14 თებერვლის ნომერში ბოლშევიკურად გამოამჟღავნა მის „ხელმძღვანელთა" მუშაობის სიმახინჯენი.

O

ფერაძის სიგნალმა რაიონულ გაზეთში კიდევ უფრო გააბოროტა ვახანელი „ტარიელები". ახლა მ. ფერაძეს უფრო აქტიურად დაუწყეს დევნა. დევნას ლ. მაღრაძე მეთაურობდა. მან გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ფერაძე კოლმეურნეობის მავნებლად და კულაკის აგენტად გამოეყვანა. ლადო მაღრაძის თაოსნობით კოლმეურნეობის გამგეობამ ბრალი დასდო მ. ფერაძეს, თითქოს იგი კოლმეურნეობის ფართობში მეტეორივით შეიჭრა, და პასუხისგებაში მისცა იგი. მილიციამ და პროკურატურამ საქმე გამოარკვიეს. ბრალდება არ დადასტურდა და საქმე მოისპო.

ამ ხანებში მ. ფერაძემ კოლმეურნეობაში შესვლა გადასწყვიტა. იგი სავსებით დარწმუნდა, რომ ლუხჰირი ცხოვრებისათვის თავის დასაღწევად მხოლოდ ერთი სწორი გზა არსებობს — საკოლმეურნეო გზა. მან განცხადება შეიტანა კოლმეურნეობის გამგეობაში, მაგრამ წინ იგივე „ყოვლის შემძლე" ლ. მაღრაძე აღუდგა. მან (სწორედ მან!) უარი უთხრა ფერაძეს კოლმეურნეობაში მიღებაზე. მ. ფერაძე არ მოეშვა. კვლავ შეიტანა განცხადება და თავმჯდომარეს მოსთხოვა დაეწერა განცხადებაზე თუ რატომ არ ღებულობდნენ მას. ლ. მაღრაძემ მიზეზი ვერაფერი იპოვა და იძულებული გახდა ფერაძის განცხადება კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გამოეტანა. ფერაძე კოლმეურნეობაში მიიღეს წევრად. ამით ლადო „ძალიან გაგვინაწყენდა", მაგრამ იმედი ჰქონდა, რაიმე „მიზეზს" იპოვიდა და ისევ გარიცხავდა მას.

მალე იპოვა კიდეც „მიზეზი". ძმებს გიორგი და მიტუშა ფერაძეებს, იქვე ეზოსთან საერთო სარგებლობის ხეხილის ფართობი ჰქონდათ, როცა ვახანში საკარმიდამო მიწების მიზომვა დაიწყო, მათ ეს ნაკვეთი ურთიერთ შეთანხმებით და ერთი მეზობლის თანდასწრებით გაინაწილეს. ფართობის დაბლობი ნაწილი, რომელიც საეზოვედ გამოდგებოდა, გიორგიმ ირგო წილად, რადგან მას ეზო არ ჰქონდა (ახლანდელი მისი ეზო, ვენახს გარდა, 30 კვ. საჟენს უდრის), ხოლო ხეხილიანი ფერდობი — მიტუშას ერგო.

მიწათმომწყობმა კომისიამ, რომელსაც თვით ლ. მაღრაძე მეთაურობდა, ძმების ეს შეთანხმება აინუნშიაც არ ჩააგდო და თავისი სურვილებისამებრ შეცვალა იგი: ხეხილიანი ფერდობი გიორგის აკუთვნა, საეზოვე ნაწილი კი — მიტუშას. და რადგან მიტუშას საკარმიდამო ნორმაზე ცოტა მეტი მიწა ჰქონდა, 100 კვ. საჟ. ჩამოაჭრა მას და მახლობელ მეზობელს — ბლუაშვილს მიუზომა (სხვათა შორის ბლუაშვილს უკვე ჰქონდა 700 კვ. საჟენი საკარმიდამო ფართობი, ე. ი. ნორმის მინიმუმზე მეტი). გიორგი ფერაძე კომისიის ამ „განჩინებას" არ დაკმაყოფილდა და საეზოვე თავისთვის მოითხოვა, თანაც სადავო მიწაზე ხეხილი დარგო. საქმეში მილიცია ჩაერია და გიორგის ამ ნაჭერ მიწაზე მუშაობა აუკრძალა.

ლადო მაღრაძემ ეს ამბავი სხვანაირად გამოიყენა ჩამოჭრილ ფართობში შეჭრა თვით მიტუშას დააბრალა და მოითხოვა მისი კოლმეურნეობიდან გარიცხვა.

ფერაძის გარიცხვის საკითხი მიმდინარე წლის 21 მარტს „განიხილეს" კოლმეურნეობის „საერთო" კრებაზე. ამ კრებას სულ ათამდე კაცი ესწრებოდა, ე. ი. წევრთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე ნაკლები (კოლმეურნეობაში 330 წევრია). ამგვარად ეს კრება სრულიად უკანონო იყო და სტალინური საკოლმეურნეო წესდების თანახმად მას არ შეეძლო გადაეწყვიტა წევრის გარიცხვის საკითხი.

მაგრამ ამ „წვრილმანს" ყურადღება როდი მიაქცია ლ. მაღრაძემ და რაიმიწგანის გამგის მოადგილემ — მიშა მაღრაძემ, რომელიც ამ კრებას ესწრებოდა. ფერაძის გარიცხვის საკითხი მაინც გაარჩიეს კრებამ.

კოლმეურნეობიდან მ. ფერაძის გარიცხვის მოთხოვნა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, მას საკოლმეურნეო ფართობში შეჭრის გარდა, ბრალდებად წაუყენეს სათესლე სიმინდის შეუტანლობა, შესასვლელი გამოსაღების გადაუხდელობა და... გამგეობის პრესტიჟის შელახვა(?!).

არ გჯერათ? აი თვით ეს დადგენილება: „ვინაიდან მიტუშა ფერაძე... შეიჭრა ჩამორთმეულ საკარმიდამო მიწაში და ფლობს და არ ემორჩილება წესდებას, არ გადაიხადა თავის დროზე საწევრო სათესლე სიმინდი, მიტუშა ფერაძე იბრძვის გამგეობის პრესტიჟის დაცემისათვის მასაში (ოჰო, ოჰო! ლ. ჯ.). ამიტომ გაირიცხოს არტელიდან საერთო წესით".

კოლმეურნეობის წევრებმა კარგად იცოდნენ ფერაძის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა ფაფი ფასი, და ამიტომ გარიცხვის წინადადებას ხმა არ მისცეს. მაშინ ქადაგად დადგა რაიმიწგანის ოქროპირი — მიშა მაღრაძე და მუშტით „არწმუნებდა" კოლმეურნეებს — ფერაძის კოლმეურნეობაში დატოვება საფრთხეს უქმნის არტელსო, საფრთხეს უქმნის მთელ სოციალისტურ მშენებლობას!

მაგრამ მისმა აგიტაციამ ვერ გასჭრა და მეორედ კენჭის ყრისას გარიცხვის წინადადებას მხოლოდ რამდენიმე კაცმა მისცა ხმა. კოლმეურნენი წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ არც მაღრაძეების თბილი კამპანია ლაჩრობდა. მაღრაძეებმა კვლავ „შეუტიეს" კვლავ ილაპარაკა მაღრაძემ, რაიმიწგანის ბუხჰალტერი ლურსმანაშვილიც დაიხმარა, ალაპარაკეს სხვებიც და თავისი გაიტანეს: მესამედ (დიახ მესამედ) კენჭის ყრით ფერაძე „გარიცხეს".

რით სდევნიდნენ ფერაძეს? — „თავხედური" სამართლიანი საჩივრებისათვის და კრიტიკისათვის!

O

მ. ფერაძე ამ ამბებმა ვერ შეაშინა, ქედი არ მოუხარა მაღრაძის თვითნებობას და აშკარა უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა.

პირველად რაიაღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარეს ამხ. მ. შარიქაძეს შესჩივლა კოლმეურნეობიდან უკანონოდ გარიცხვა. მაგრამ ბიუროკრატმა შარიქაძემ ახლოს არ გაიკარა — გზა ჩხერიმელასაკენ (მდინარეა) უჩვენა (დიახ. დიახ!).

ფერაძემ საჩივარი შეიტანა პროკურატურაში და მილიციაშიც კი. არც აქედან გამოვიდა რამე.

ახლა მან პარტიის რაიკომს მიმართა. დასწერა განცხადება და სთხოვა რაიკომის მდივანს — პირადად ჩარეულიყო ამ დახლართულ საქმეში. რადგან სხვებისადმი მან უკვე დაჰკარგა რწმენა. რაიკომმა ფერაძის საქმისათვის „ვერ მოიცალა" საერთოდ ფერაძის საჩივრებს ყველანი „შეეჩვივნენ". ფერაძეს არავინ უსმენდა. ფერაძე, ეს უსწავლელი კაცი, „პროფესიონალ მომჩივანად" გამოაცხადეს. მას ზურგი შეაქციეს.

ასე უდიერად, უგულგრილოდ, ყოვლად დაუშვებლად მოეპყრა რაიონის მთელი მაშინდელი ხელმძღვანელობა მშრომელ ადამიანს, კოლმეურნეობის „ყოფილ" წევრს.

ლ. მაღრაძემ კი ფერაძე სულელადაც გამოაცხადა!

ამიტომ სცდილობდა ფერაძე გაერღვია ბიუროკრატიზმისა და უგულგრილობის ჩინური კედელი...

O

მაინც არ გატეხა ფერაძემ გული! იგი „არ სცხრება" — დასწერა მამხილებელი წერილი და „კომუნისტის" რედაქციას გაუგზავნა. ამ წერილის შინაარსის შემოწმება „კომუნისტის" რედაქციამ ორჯონიკიძის რაიონის პროკურორს ამხ. ბუაჩიძეს სთხოვა. რაიპროკურორს წერილის შინაარსის შემოწმება მაშინ მოაგონდა, როცა წერილზე პასუხისათვის თვით რედაქციის წარმომადგენელი მიაკითხა!

ფერაძის მოუსვენარმა ბრძოლამ სულ მთლად გამოიყვანა მოთმინებიდან ლ. მაღრაძე. როგორ არ [illegible] მოთმინებიდან, როცა ვერ გასტეხა ფერაძე, მას ქედი რომ ვერ მოახრევინა!

ახლა საბოლოოდ გადასწყვიტა ლადომ — სრულიად ალგვეს მ. ფერაძე პირისაგან ვახანის მიწისა!

ლადო საქმეს შეუდგა. ხმები გაავრცელა ფერაძემ ცამეტი ძირი სკა გაყიდა, უამრავი ფული აიღო და საჭიროა მისი დაბეგვრაო. „იღბლათ" საგადასახადო კომისიაში თვითონ ირიცხებოდა, 1445 მანეთით დაბეგრეს ფერაძე. მერე რა, რომ ამდენ თანხას ვერ გადაიხდიდა ფერაძე? მით უკეთესიო — ფიქრობდა გულში ლ. მაღრაძე — იმ ერთად ერთ ძროხას გავუყიდი და მაშინ ნახავს, რას ნიშნავს ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაო. კიდეც შეასრულებდა, ალბათ, ამ მუქარას, რომ ცოტაოდენი დასცლოდა...

O

ამხ. ბერიას მოხსენება „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის" — ვახანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 16 სექტემბერს დაამუშავა რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. კიკნაძემ. კოლმეურნეებმა არ დააყოვნეს საკოლმეურნეო წესდების უხეში დამახინჯებისა და მ. ფერაძის კოლმეურნეობიდან უკანონოდ გარიცხვის ფაქტების გამომჟღავნება. სტალინური წესდების ამ უხეშ დამახინჯებაზე მოგვითხრობდა რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით" 30 სექტემბრის ნომრის მოწინავე წერილიც.

ახლა კი მიეცა ფერაძეს იმედი. მან დასწერა ახალი განცხადება და მიუტანა პარტიის რაიკომის მდივანს ამხ. მოისურაძეს. რაიკომი შეუდგა საკითხის გამორკვევას. მაგრამ მაინც თვენახევრის განმავლობაში არ მოხერხდა საქმის გარკვევა. რადგან ბიუროკრატებმა რაიაღმასკომიდან და მიწგანიდან შეკრეს „მთლიანი ფრონტი" და მოახერხეს საქმის გაჭიანურება.

„ახლა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა აღნიშნულ დეფექტის „აღმოფხვრას" — მიუთითა თავის შესანიშნავ მოხსენებაში ამხ. ლ. ბერიამ.

საინტერესოა, როგორ გაიგეს ეს დირექტივა ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელებმა, კერძოდ რაიაღმასკომმა და რაიმიწგანმა? როგორ ასწორებენ დაშვებულ უხეშ შეცდომებს?

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არც ერთმა და არც მეორემ არაფერი გააკეთეს ვახანის კოლმეურნეობაში დაშვებულ უხეშ დამახინჯებათა გამოსასწორებლად და კოლმეურნე მ. ფერაძის დევნა-შევიწროვების ალსაკვეთად. კიდევ მეტი, რაიმიწგანის გამგის მოადგილეს ამხ. მ. მაღრაძეს ახლაც „არ სჯერა" რომ მან ყოვლად უდიერათ დაამახინჯა სტალინური საკოლმეურნეო წესდება, რომ მ. ფერაძე მისი — „უშუალო ხელმძღვანელობით" უკანონოდ იქნა გარიცხული კოლმეურნეობიდან. რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცხოვრებელაშვილმა თუმცა აღიარა წესდების დამახინჯების ფაქტი, მაგრამ შეეცადა მიამიტად მოეჩვენებინა იგი და დამნაშავედ ისევ მიტუშა ფერაძე გამოიყვანა (შემთხვევითი არაა, რომ მ. ფერაძის საჩივარი პირველად რაიმილიციამ გამოარკვია და არა რაიაღმასკომმა, რომელსაც ეს საქმე უშუალოდ ეხებოდა). ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ფერაძის საქმის განხილვა ასე გაჭიანურდა.

ერთხელ კიდევ დასჭირდა მ. ფერაძეს მიემართა „კომუნისტის" რედაქციისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მაღრაძეთა კომპანიის „სამმირო" საქმეების დღის სინათლეზე გამოსატანად. მ. ფერაძის საჩივრის ადგილობრივ დაწვრილებით გამორკვევამ თვალნათლივ [illegible] მ. ლონლაძის, ლ. მაღრაძის და სხვათა დაუსრულებელი უხეში ძალმომრეობის და მშრომელი გლეხის დაუსრულებელი დევნა - შევიწროების, კოლმეურნეობიდან მისი სრულიად უკანონოდ გარიცხვის ზემოთ მოთხრობილი ამბავი.

ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ ფერაძის ამ თავგადასავლიდან, შეამოწმონ რაიონის კოლმეურნეობებში დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად ჩატარებული მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რაიონულ ორგანიზაციებში მშრომელთა საჩივრებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების აღმოფხვრას. კერძოდ საჭიროდ მიგვაჩნია ორჯონიკიძის რაიაღმასკომის მუშაობის შემოწმება ამ თვალსაზრისით და სათანადო ღონისძიებათა გატარება.

ლ. ჯავახაძე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ შემკეთებელი ქარხნის ორდენოსანი, ხარატი ამხ. ჯიგაური თავის ამხანაგებს უკითხავს სტალინურ კონსტიტუციას. უსმენენ ამხანაგები: ყორიევი (ზეინკალი), პაპინაშვილი (ზეინკალი), დათოევი (შეგირდი) და დიასახლისი ქარიჭაშვილი. ფოტო [illegible] („კომუნისტის" საკ. განყ.)

ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტი

(წერილი მოსკოვიდან)

ცნობილმა კინო-რეჟისორმა ამხ. დოვჟენკომ „იზვესტიის" (1936 წ. 7 ნოემბრის ნომერი) ფურცლებზე გაგვაცნო თავისი საუბარი ამხანაგ სტალინთან ამ ზაფხულის ბოლოს, როდესაც საბჭოთა კავშირში სამეცნიერო მუშაობის პერსპექტივებს შეეხნენ. ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

— ჩვენ უკვე ვქმნით ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტს უდიდეს მსოფლიო მნიშვნელობას ვაძლევთ. ჩვენ მასში გადასაწყვეტად ვაყენებთ ყველაზე დიდ პრობლემებს, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემამდე..

ამხანაგი სტალინი ერთ წამს ჩაფიქრდა.

— თვით ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებამდე, — გაიმეორა მან მოღიმარმა და დაფიქრებულმა.

ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტი, რომლის დევიზსაც შეადგენს ჯანსაღი სრულფასიანი ადამიანის შექმნა, უკვე შენდება მოსკოვის ახლოს მდინარე მოსკოვის მაღალ ნაპირზე.

იგი დაიკავებს უზარმაზარ ფართობს, რომელსაც დიდი ბაღი ექნება შემოკრული. ამ ფართობზე აღიმართება 25-სართულიანი ცათამბჯენი ქარვასლა, რომლის გარშემოც მოთავსდება ექვსსართულიანი შენობების დიდი რაოდენობა ლაბორატორიებისა და სხვადასხვა დამხმარე დაწესებულებათათვის.

ეს მშენებლობა მოსკოვის უდიდესი მშენებლობაა. მას დასჭირდება 135 ათასი კუბ. მეტრი ხე-ტყე, 380 ათასი კუბ. მეტრი ქვიშა და ხრეში, 85 ათას კუბ. მეტრი ქვა, 75 მილ. ცალი აგური, 57 ათასი ტონა ცემენტი და სხვ. სამუშაოთა დამთავრების ვადად დასახულია 1939 წლის მაისი.

ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტი გარშემორტყმული იქნება უდიდესი სამედიცინო დაწესებულებებით. აქ იქნება ეპიდემიოლოგიის საკავშირო ინსტიტუტი, ტროპიკულ დაავადებათა საკავშირო ინსტიტუტი, [illegible] ახალი საუნივერსიტეტო [illegible], რომელსაც ექნება 2400-საწოლიანი კლინიკა.

ესენი იქნებიან მეცნიერების ნამდვილი სასახლეები, რომელთაც ექნებათ მოწინავე ტექნიკის სულ უკანასკნელი მიღწევანი და ყველაზე რთული აპარატურა. ყველა ისინი სამსახურს გაუწევენ ძალიან მიზანს — ადამიანის სიცოცხლეზე გავლენის მომხდენი ფაქტორების შესწავლას. მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში შეიძლება ასეთი გრანდიოზული მუშაობის განხორციელება და მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში შეიძლება მისი ასე სრულყოფილად და საუცხოოდ მოწყობა.

ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის 25-სართულიან ცათამბჯენში იქნება 6 ათასი ოთახი, რომლებიც სპეციალური სამეცნიერო მუშაობისათვის იქნება მოწყობილი. თვითეულ ოთახს ექნება გაზი და ელექტრობა, ცხელი ორთქლი და ცივი ჰაერი, ცხელი და ცივი წყალი, შეკუმშული და გათხელებული ჰაერი. აქ იქნება სპეციალური ეგრეთწოდებული კლიმატური კამერები, რომლებშიც შეიძლება ხელოვნური ტემპერატურის შექმნა 50° ყინვიდან 50° სიცხემდე. აქ იქნება კამერები ატმოსფეროს სხვადასხვა წნევით, ხელოვნური განათებით, მექანიკური ვიბრაციების კამერები, მოხმაურე კამერები, სპეციალური სადგომები დაეხმარება ჰაერის მტვრიანობის შესწავლას, პირობითი რეფლექსების გამოკვლევას.

გამოანგარიშებულია, რომ მხოლოდ დღეღამის განმავლობაში ინსტიტუტს დასჭირდება 20 ათასი კუბ. მეტრი გაზი, 6 ათასი კილოვატი ელექტროენერგია, 54 მილ. კალორია სითბოს ენერგია და წყლის უდიდესი რაოდენობა.

უკვე ეს მოკლე ჩამოთვლა შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მსოფლიოში ამ უდიდესი სამედიცინო დაწესებულების სიდიადე.

ვ. ყარა-მურზა

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის დადგენილება

ფერაძის საქმის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ 13 ნოემბერს სპეციალურად განიხილა კოლმეურნე ფერაძის დევნის საკითხი და გამოიტანა ვრცელი დადგენილება, რომელიც სწორად არკვევს საქმის ვითარებას და სახავს სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებებს.

რაიკომის ბიურომ სცნო, რომ ამხ. ფერაძის გარიცხვა კოლმეურნეობიდან მოხდა სტალინური წესდების უხეში დამახინჯებით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ მაღრაძეს (პარტიის წევრი) გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და დაისვა საკითხი კოლმეურნეთა წინაშე მისი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დატოვების მიზანშეწონილების შესახებ.

კოლმეურნეობის მოანგარიშეს დავით ლაცაბიძეს (პარტიის წევრობის კანდიდატი) გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და იგი მოიხსნა სამუშაოდან.

მიშა მაღრაძის (კომკავშირელი) საკითხი გასარჩევად გადაეცა კომკავშირის რაიკომს სათანადო დასკვნების გასაკეთებლად.

პარტრაიკომის ინსტრუქტორს ამხ. მინაგო კიკნაძეს გამოეცხადა საყვედური.

რაიპროკურორს ამხ. ბუაჩიძეს დაევალა დაუყოვნებლივ გამოარკვიოს ამხ. ფერაძის განცხადებაში აღნიშნული ბრალდებანი ბაგრატ ლონლაძის მიმართ.

რაიაღმასკომს და სხვა ორგანოებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მშრომელთა საჩივრებს.

კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებს დაევალათ გულდასმით შეამოწმონ სტალინური წესდების დამახინჯებათა გამოსწორების მიმდინარეობა და მიიღონ ზომები ჯერ კიდევ გამოუსწორებელ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ვ. ქაჯაია

პედოლოგიური დამახინჯებანი საქართველოში

სრულებით არ არის მართებული ქართველი პედოლოგების ერთი ჯგუფის განცხადება, რომელიც მათ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 4 ივლისის დადგენილების დამუშავების დროს განსახკომის პედაგოგიკის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტში გააკეთეს, თითქოს ჩვენში პედოლოგიურ დამახინჯებებს ნაკლებად ჰქონოდეს ადგილი.

მთელი პედოლოგიური და ნაწილობრივ „კვლევითი" - პედაგოგიური მუშაობაც ჩვენში პრინციპულად იმავე ყალბი გზით მიიმართებოდა, როგორც საბჭოთა რუსეთში.

პედოლოგიის უნივერსალიზაციისა და მისი საზღვრების გაფართოვების დარგში იმაზე უფრო შორს წასვლა, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი, ძნელი წარმოსადგენია. პედოლოგია ჩვენშიაც „ყოვლისშემძლე მეცნიერებად" იყო აღიარებული.

პედოლოგიის მამამთავარი საქართველოში პროფ. დ. უზნაძე პედოლოგიის ასეთ დეფინიციას იძლეოდა: „პედოლოგია უნდა განისაზღვროს როგორც მეცნიერება, რომელიც მთლიანობისადმი განწყობის ნიადაგზე სწავლობს ბავშვის ქცევის ფორმებს, მათს განვითარებას და ამ უკანასკნელის კანონებს. იგი უნდა განისაზღვროს როგორც მეცნიერება, რომელსაც მოზარდი ადამიანის მთლიანი გაფორმების პროცესის შესწავლა აქვს მიზნად დასახული" (დ. უზნაძე. „პედოლოგია", 1933 წ. გვ. 13)

საქმეში ჩახედული მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა მსგავსება-ნათესაობა არსებობს პროფ. დ. უზნაძის მიერ მოცემული პედოლოგიის განმარტებასა და შულგინ-კრუპენინას ცნობილ „მემარცხენე" პედაგოგიურ „თეორიებს" შორის. პროფესორმა დ. უზნაძემ პედოლოგიას — ამ ანტიმარქსისტულ ცრუმეცნიერებას — „მოზარდი ადამიანის მთლიანი გაფორმების პროცესის შესწავლა" დაუსახა ამოცანად.

კიდევ უფრო შორს წავიდა პედაგოგი შ. სიხარულიძე. ამხ. სიხარულიძის აზრით პედოლოგია პედაგოგიური მუშაობისა და პედაგოგიკის მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ამხ. სიხარულიძე პედოლოგიის ამოცანებს ასე განმარტავს: „პედოლოგია აწესებს ასაკობრივ თავისებურებათა აღრიცხვის ძირითად პრინციპებს, ის იკვლევს იმ საკითხებს, თუ პედაგოგიურად რამდენად სწორად უნდა შედგეს პროგრამა, როგორ უნდა ვიბრძოლოთ ცოდნათა სისტემისათვის, რა ცოდნა, როდის და რა პირობებია საჭირო, რომ მივაწოდოთ მოწაფეებს, რა მეთოდებით უნდა ვიმუშაოთ პოლიტექნიკურ სკოლაში ასაკობრივ თავისებურებათა აღრიცხვით და სხვ. მეცნიერული პედოლოგიის საგანი გაცილებით უფრო ფართოა".. (შ. სიხარულიძე, „საბჭოთა პედაგოგიკის პრობლემები", 1933 წ. გვ. 44).

საკითხავია ამის შემდეგ, რა ამოცანა გვისრება პედაგოგიკას, რაღა უნდა გააკეთოს ამ მეცნიერებამ? გამოდის, რომ არაფერი! მართლაც, თუ პედოლოგია, ერთის მხრივ „პედაგოგიკას აწვდის ცნობას ბავშვის შესახებ" და, მეორის მხრივ, გადაწყვეტს სასკოლო მუშაობის ყველა ძირითად საკითხებს, როგორც ეს ამხ. სიხარულიძეს აქვს წარმოდგენილი, პედაგოგიკის ფაქტიურად არაფერი რჩება გასაკეთებელი. პედაგოგიკა უსაგნო და უპერსპექტივო მეცნიერებად არის აღიარებული.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ ამ შემთხვევაში ამხ. სიხარულიძის კერძო ხასიათის შეცდომასთან გვაქვს საქმე და არა მის სერიოზულ თეორიულ ცოდვასთან. მაგრამ ამ აზრის უსაფუძვლობაში აშკარად დავრწმუნდებით, თუ მის მიერ დასახელებულ წიგნს მთლიანად გადავიკითხავთ, ანდა ამ რეცენზიას გავეცნობით, რომელიც სხვა ავტორებთან (მოსიავა, ბეჟიაშვილი) ერთად მან ამ ორი წლის წინათ პროფ. დ. უზნაძის „პედოლოგიის" შესახებ გაზეთში მოათავსა. ამ რეცენზიაში წერია, რომ „პედოლოგიური მეცნიერების სისტემა უნდა იძლეოდეს კომუნისტური, პოლიტექნიკური აღზრდის საფუძვლებს, მის პედოლოგიურ დასაბუთებას", რომ „პროფ. დ. უზნაძის შრომაში ზემოდმოყვანილი ამოცანები საერთოდ დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მარქსისტულ - ლენინური პედოლოგიის აგების სერიოზულ ცდასთან"

ვფიქრობთ — კომენტარიები ზედმეტია. ამხ. შ. სიხარულიძე სავსებით და მთლიანად პედოლოგიური ცრუმეცნიერების საფუძველზე იდგა და მისი ანტიმარქსისტული „თეორიების" პოზიციებიდან ცდილობდა საბჭოთა პედაგოგიკისა და პედოლოგიური მუშაობის განსაზღვრასა და მისი როლის დამცირებას.

მედინსტიტუტის პედოლოგიური კათედრის გამგე დოცენტი ა. გოცირიძე, რომელმაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 4 პედოლოგიური ბროშურა „შეგვძინა", აღელვებული ტონით იძლეოდა პედოლოგიის არსის განსაზღვრას: „მწვავე განცდებით, კრიზისის სახით ახალის ძველთან გაამწვავებულ ბრძოლაში იბადება საბჭოთა ახალგაზრდა პედოლოგია". მისი „შვენება" — სოციალიზმი, მისი სტიმული — პროლეტარიატის კლასობრივი თვალსაზრი „სოციალიზმის ბავშვთა" აღზრდის შესახებ. მისი მეთოდოლოგიური თარგი დიალექტიკური მატერიალიზმი. ყოველივე ეს ჰქმნის საბჭოთა პედოლოგიის ნამდვილ მეცნიერებად და უდიდეს პერსპექტივებს შლის მის წინ" (იხ. „პედოლოგია, როგორც მეცნიერება"... 1933 წ. გვ. 13). მისივე აზრით „პედოლოგიამ უნდა გაამტკიცოს პედაგოგიკის ღონისძიებანი ბავშვის განვითარების კანონზომიერების ცოდნით" (იხ. ა. გოცირიძე — „ბავშვის განვითარება", 1935 წ. გ. 61)

პროფ. გ. თავზიშვილმაც „საბჭოთა პედოლოგია" დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიაზე დამყარებულ მეცნიერულ სისტემად აღიარა და მისი სამტომიანი ისტორიის დაწერა დაისახა გადაუდებელ ამოცანად (იხ. გ. თავზიშვილი „საბჭოთა პედოლოგიის ისტორიისათვის", 1934 წ.)

ცრუმეცნიერული პედოლოგიის გაბატონებამ პედაგოგიკის ფრონტზე, მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დამახინჯებანი გამოიწვია ბავშვთა შესწავლისა და მათი კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ეგრეთწოდებული პედოლოგიის ასეთ ანტიმარქსისტულ დებულებათა რიგს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე პედოლოგიის მთავარი „კანონი" — კანონი ბავშვთა ბედის ფატალისტური განპირობებისა ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორებით, მემკვიდრეობითისა და რაღაც უცვლელი წრის გავლენით. ც. კ-მა აღნიშნა, რომ ეს ცრუმეცნიერული „კანონი" აშკარა წინააღმდეგობაშია მარქსიზმთან და სოციალისტური მშენებლობის მთელ იმ პრაქტიკასთან, რომელიც წარმატებით ახდენს ადამიანთა ხელახალ აღზრდას სოციალიზმის პრინციპთა მიხედვით და სპობს კაპიტალიზმის ნაშთებს ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში.

რა მდგომარეობა გვქონდა საქართველოში ამ მხრივ?

საკითხი შეეხება ბავშვთა განვითარების პრობლემას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი პედოლოგები ამ შემთხვევაშიაც სავსებით ბავშვთა ბედის ფატალისტური განპირობების ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ გზას მიჰყვებოდნენ. ჩვენებურმა პედოლოგებმა ვერ დასძლიეს ბავშვთა ფსიქიკური განვითარების ბურჟუაზიული თეორიები (ნატივიზმი, ემპირიზმი, შტერნის კონვერგენცია და სხვ.) და ამდენად სავსებით მათ ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

პედოლოგი ა. გოცირიძე პირდაპირ სწერდა, შტერნი თავისი „ფორმულით თავისდაუნებურად ამ საკითხში დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებს უკავშირდებაო" („ბავშვის განვითარება", გვ. 11)

პედოლოგი გ. კაპანაძე, რომლის აზრითაც „ნამდვილი პედაგოგიკა წარმოუდგენელია უპედოლოგიოდ", ნატივიზმის დახავსებული თეორიის საფუძველზე სწერდა. „ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო მემკვიდრეობის მოვლენანი ადამიანში" (იხ. მისი „პედოლოგიის შესავალი", 1928 წ. გვ. 12 და 47).

შტერნის კონვერგენციის თეორიის საფუძველზე იდგა პედოლოგი გ. დევდარიანიც (იხ. მისი „პედოლოგია" 1930 წ. გვ. 31).

პროფ. დ. უზნაძე შეეცადა ბავშვთა განვითარების ყველა ძველი თეორიის ფილოსოფიურ დაძლევას. მაგრამ რადგანაც იგი ვერ იდგა დიალექტიკური მატერიალიზმის ნიადაგზე, ვერ შესძლო ბურჟუაზიული მეცნიერების ნააზრევისაგან თავდაღწევა და ამდენად მის მიერ წამოყენებული ბავშვის განვითარების კოინციდენციის თეორიაც შეცდარი აღმოჩნდა.

პროფ. დ. უზნაძე დაემყარა რა „შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა კოინციდენციის, ერთიანობის ფაქტს" კონვერგენციის მექანისტური თეორიის დაძლევის ნაცვლად, ისევ ბურჟუაზიულ ფატალიზმის ტყვეობაში მოექცა. პროფ. დ. უზნაძე ვერ განთავისუფლდა ბავშვის ბედის ფატალისტური განპირობების მავნე ბურჟუაზიული „კანონისაგან", რადგანაც იგი თავის კვლევა-ძიებაში საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ყოველ ცოცხალ ორგანიზმში იმთავითვე მოცემულია როგორც მისი რომელიმე შინაგანი ძალა, ისე ის გარეპირობაც, რომელსაც ეს ძალა გულისხმობს" (დ. უზნაძე „პედოლოგია" გვ. 52).

პროფ. უზნაძის ასაკობრივი გარემოს ცნებაც, რომელიც მან შემოიტანა პედოლოგიაში, ბავშვის შინაგან ძალებზეა სავსებით დამყარებული და ამ უკანასკნელით განსაზღვრული: „თუ რა სტიმულებია ასაკობრივ გარემოში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათისა და რა დონის ძალები აქვს ბავშვს შესატყვის ასაკში მოცემული. მაშასადამე, ასაკობრივ გარემოს სათანადო ასაკის შინაგან შესაძლებლობათა დონე განსაზღვრავს" (პედოლოგია გვ. 33).

ყველა ეს და ანალოგიური ხასიათის დამახინჯება იმიტომაც ხდებოდა, რომ ეგრეთწოდებული პედოლოგია ბავშვის ფსიქიური განვითარების პრობლემას აბსტრაქტულად განიხილავდა სწავლა-აღზრდის მთლიანი პროცესიდან მექანიკურად გათიშვის ნიადაგზე. პედოლოგიამ ვერ შესძლო ბავშვის განვითარებისა და სწავლის ერთიანი პროცესის დიალექტიკური ბუნების ნათელყოფა, რადგანაც „პედოლოგიური პრაქტიკა" პედაგოგისა და სასკოლო მეცადინეობისაგან სრულიად მოწყვეტილად მიმდინარეობდა.

პედოლოგიამ ყველაფრის შესწავლა დაისახა მიზნად. პედოლოგების სითამამე იქამდისაც კი მივიდა, რომ 1929 წ. პედოლოგიური მუშაობის ხუთწლიანი გეგმაც შეადგინეს, რომელშიაც სხვათა შორის, ასეთი მეტად ახირებული საკითხიც შეიტანეს: „ქალების პედოლოგიური შესწავლა. რადგან საკითხი სქესობრივი ტიპოლოგიისა და საერთოდ ქალთა თავისებური განვითარების შესახებ, ჯერჯერობით არ არის სათანადოდ დამუშავებული პედოლოგიაში"

პედოლოგიურ დამახინჯებათა არსებობის ფაქტი იმითაც აიხსნება, რომ პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, ვერ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე. პედაგოგიკამ აქამდის ვერ შესძლო ღრმა თეორიული მუშაობის გაშლა თვით ბავშვისა, მისი განვითარების კანონზომიერებისა და სწავლა აღზრდის პროცესის ძირითადი საკითხების დამუშავების უზრუნველყოფის მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგიური მეცნიერება ჩვენში პედოლოგიური „მუშაობის" დონემდე ჩამოქვეითდა.

საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერება ახალი გადაუდებელი ამოცანების წინაშე დგას. პედოლოგიურ დამახინჯებათა საბოლოოდ დაძლევის მიზნით პედაგოგიკამ უმოკლეს ხანში უნდა გადასჭრას შემდეგი უმთავრესი ამოცანები: იგი საფუძვლიანად უნდა შეიარაღდეს მარქსისტულ - ლენინური მეთოდოლოგიით და მიიმართოს ის თავის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში, სავსებით და მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ეგრეთწოდებული პედოლოგიური დამახინჯებანი, სერიოზულ მეცნიერულ საფუძველზე უნდა დააყენოს ბავშვის შესწავლის საქმე, დაუყოვნებლივ უნდა გადასინჯოს და ხელახლა დაამუშაოს პედაგოგიური კვლევითი მუშაობის მეთოდები და სავსებით გასწმინდოს იგი მავნე ბურჟუაზიული ტრადიციებისაგან.

თავის თეორიულ - კვლევითი საქმიანობის, სასკოლო მუშაობის კონკრეტული საკითხების დაყენებით, პედაგოგიკამ მტკიცე მეცნიერული ბაზა უნდა შეუქმნას სოციალისტური ქვეყნის ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.

◆

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-სტუდია ამთავრებს პირველ სრულმეტრაჟიან ხმოვან ფილმს კომედიის „ფრთოსანი ძღვენი". ფილმის თემა საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ საფრენოსნო ხელოვნების დაუფლება წარმოებას მოუწყვეტლივ. ფილმის რეჟისორია ლ. ესაკია, ოპერატორი კანდელაკი. სურათზე: კადრი ფილმიდან—სვანეთში მყოფი პროფესორის გადარჩენა საავადმყოფოში სასწრაფო ქირურგიული ოპერაციისათვის.

ფოტო „სოიუზფოტოს" საქ. განყოფილებისა.

უკმაყოფილება არიტას პოლიტიკით

ტოკიო, 7 დეკემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო, აგრეთვე გაზეთები „იომიური" და „ციუგაი სიოგიო" სწერენ, რომ საიდუმლო საბჭოს წევრებს ემჩნევათ მეტად სერიოზული უკმაყოფილება საგარეო საქმეთა მინისტრ არიტას პოლიტიკით, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიშალა იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება ნანკინში და შეფერხდა თევზჭერის კონვენციის ხელისმოწერა. როგორც ცნობილია, — სწერენ სააგენტო და გაზეთები, — არიტა საიდუმლო საბჭოს წევრთა იმ კითხვების პასუხად, რომლებიც საიდუმლო საბჭოს უკანასკნელ პლენუმზე 25 ნოემბერს მისცეს, არწმუნებდა მათ, რომ საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ მოაწერს ხელს თევზჭერის კონვენციას, როგორც კი საშინაო ხასიათის აუცილებელ ფორმალობას დაამთავრებენ. ნამდვილად კი კონვენცია ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, და საიდუმლო საბჭოს წევრები დარწმუნებული არ არიან, ხელმოწერილი იქნება თუ არა ის 31 დეკემბრამდე, როცა გავა ძველი კონვენციის მოქმედების ვადა. საიდუმლო საბჭო არ გამორიცხავს იმას, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი კონვენციის ხელმოწერის უპრეცედენტო შეფერხებისათვის, მიუხედავად მისი დამტკიცებისა საიდუმლო საბჭოს მიერ, შეიძლება დაეკისროს საბჭოთა მთავრობას. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ხიროტას მთავრობას, რომელმაც ამ საქმეში არ გამოიჩინა საკმაო გამჭრიახობა და უნარი.

◇ ◇ ◇

„მონღოლეთის" ჯარების სასტიკი დამარცხება ბაილინმაოსთან

ტოკიო, 6 დეკემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შეტევა ბაილინმაოზე, რომელიც 3 დეკემბერს დაიწყო „მონღოლეთის" 5-ათასიანმა ჯარმა დე-ვანის პირადი სარდლობით, 5 დეკემბერს უშედეგოდ დამთავრდა. ჩინეთის ჯარებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს.

3 დეკემბერს, განაგრძობს კორესპონდენტი, დიდი ბრძოლა დაიწყო აგრეთვე ხონგანძის ახლოს (ქუიუანის ჩრდილოეთით), რომელშიაც მონღოლელთა მხრით მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 2 ათასი კაცი.

◇ ◇

ნანკინის მთავრობის ახალი კანონი

შანხაი, 7 დეკემბერი (საქდესი). ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი, რომლის მიხედვითაც ჩინეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველგვარი მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფოებთან უნდა აწარმოოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს ცენტრალურ მთავრობას ეცნობება და ყველა შეთანხმება, დადებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რომელიმე სახელმწიფოსთან ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუდასტურებლად, არ ჩაითვლება ნამდვილ შეთანხმებად. იაპონელთა წრეებში ფიქრობენ, რომ ეს კანონი პირველ რიგში მიმართულია ჩრდილო-ჩინეთის ხელისუფლებასთან იაპონიის მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა წინააღმდეგ.

◇ ◇ ◇

ცინდაოში დაძაბული მდგომარეობაა

შანხაი, 7 დეკემბერი (საქდესი). გაზეთები აღნიშნავენ, რომ ცინდაოში უფრო და უფრო დაძაბული მდგომარეობა იქმნება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა იაპონიის მილიტარისტების განზრახვა მოაქციონ ცინდაო „ჩრდილო-ჩინეთის განსაკუთრებულ ზონაში". იაპონელთა ნაწილების რაოდენობა თანდათან იზრდება, გაზეთების ცნობით, ცინდაოში იაპონიის დესანტის რიცხვმა 2 ათას კაცს მიაღწია. იაპონელთა ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს არა მარტო ნავსადგური და ქალაქი, არამედ ქალაქის ახლო მდებარე სოფლებიც, რომლებსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. იაპონელთა სადესანტო ნაწილებმა დაიკავეს აგრეთვე დიცუნის რაიონი (ცინდაოს ჩრდილოეთით, დაახლოებით 20 კილომეტრის მანძილზე), საიდანაც ქალაქი წყალს ღებულობს.

◇ ○ ◇

კატასტროფული წყალდიდობა ქალაქ ადანის რაიონში

ანკარა, 7 დეკემბერი (საქდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება დიდი წყალდიდობის შესახებ ქალაქ ადანის რაიონში (თურქეთში, სირიის საზღვრის მახლობლად). წყალდიდობა გამოიწვია მდინარე ზეიხუნის და მისი შენაკადების ნაპირებიდან გადმოსვლამ ძლიერი წვიმების შედეგად. ზეიხუნში წყლის დონე ჩვეულებრივს დაახლოებით 6 მეტრით ასცილდა; წყალმა დაფარა ქალაქი და მიდამოები. მდინარის ხეობის მთელი ვაკე წყლითაა დაფარული. ქალაქ ადანის ქუჩებში წყლის სიღრმემ 2 მეტრამდე მიაღწია. დანგრეულია 600 სახლი.

მოსკოვი

(ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან 8/XII)

კავშირთა სახლში გაიხსნა თვითნასწავლ მხატვართა გამოფენა, რომელიც მოაწყო კრუპსკაიას სახელობის სახალხო შემოქმედების სახლმა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობისათვის. გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს.

ყურადღებას იპყრობს ქართველ თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრები. გამოფენილია 36 წლის კოლმეურნე მარადაშვილის სამი სურათი. ტახტის სამი აკვარელი: „სამოქალაქო ომის იდეალიდები". ეს აკვარელები მომხიბლავია, ხაზების სიფაქიზითა და ფერადების შერჩევის ელვარებით.

გამოფენილია აგრეთვე აზერბაიჯანის მხატვარ ამხ. არკადიანის სურათი „შეძლებული კოლმეურნის ოჯახი". ეს სურათი მეორედაა გამოფენილი. პირველად იყო თვითმოქმედი შემოქმედების სრულიად საკავშირო გამოფენაზე.

ამხ. მარადაშვილის სურათები შეიძინა კრუპსკაიას სახელობის სახალხო შემოქმედების სახლმა. შესაძლოა, იგინი გაიგზავნოს მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც მომავალ წელს იხსნება პარიზში.

სახალხო შემოქმედების სახლი შეუდგა მზადებას თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც მიეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს. იგი სთხოვს საქართველოს ხელოვნებათა საქმის კომიტეტს შეარჩიოს საუკეთესო ნაწარმოებები თვითნასწავლ მხატვრებისა და გაგზავნოს ისინი მოსკოვში, სახალხო შემოქმედების სახლის მისამართით: მოსკოვი, რეცკაია № 22.

დღეს ნაშუადღევს 3 საათზე გაიხსნა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მექანიზაციის სექციის პლენუმი.

პლენუმი მოისმენს სამეცნიერო ინსტიტუტთა და სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველთა მოხსენებებს. მათ უნდა განაზოგადონ ტრაქტორების გადიდებული სიჩქარით გამოყენების ცდა, რათა ეს გამოცდილება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს. პლენუმმა უნდა გასცეს ზუსტი პასუხი ცალკეულ პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაზეც დამოკიდებული იქნება ტრაქტორების ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, ტრაქტორის მოტორის ბრუნვათა გაძლიერება და შემდგომი გამოყენება მე-3 სიჩქარეზე.

○

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ლექსების კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები" ზრიკის თარგმანით.

კრებულში შეტანილია ქართველი პოეტების: აბაშიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, რ. გვეტაძის, გომიაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ნ. მიწიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, პაოლო იაშვილისა და სხვ. ნაწარმოებები.

○

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატისადმი გაცემული ბრძანებით თბილისის რადიო-ქარხნის დირექტორი მშაცაცანოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. ქარხნის დირექტორად დაინიშნა ამხ. ჰაიტაშვილი.

სტახანოველთა შეკრება ხაშურში

ამ დღეებში გაიმართა ხაშურის რკინიგზის კვანძის სტახანოველთა, დამკვრელთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შეკრება. შეკრებაზე მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ორდენოსან მემანქანეს ამხ. ს. კურტანიძეს, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება და აღუთქვა შეკრებას, რომ თავისი კომპანიონებით ამხ. ფრანგულითა და ჯარიაშვილით საბჭოთა ელმავლით — სერია „ვმ"-ით პირნათლად და გადაჭარბებით შეასრულებს აღებულ ვალდებულებას — 80.000 კილომეტრის გარბენას უავარიოდ და ურემონტოდ. ამხ. ს. კურტანიძის შემდეგ ილაპარაკა ელმავლის ყოფილმა მემანქანემ ორდენოსანმა ვასო გაფრინდაშვილმა, მან თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა დამსწრეებს და უამბო მათ, თუ როგორ მოიპოვა მოწინავე მემანქანის სახელწოდება, როგორ მიიღო უმაღლესი ჯილდო — ორდენი.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მემანქანეები: ბოხუა, გოგოლაძე, ფრანგული, მანჯავიძე და სხვ.

შეკრებაზე ორდენოსანმა მემანქანემ ა. ნოზაძემ იკისრა ვალდებულება: საბჭოთა ელმავალი 19-22-ით, სერია „ვლ" გააკეთებს 80.000 კილომეტრს უავარიოდ და ურემონტოდ, ამასთან მოითხოვა, რომ მისი ელმავალი იყოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის სახელობისა.

ელექტრიფიკაციის ბიუროს უფროსის თანაშემწემ ამხ. ლოგუამ დამსწრეებს აღუთქვა ყოველგვარი დახმარება, რათა მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს.

ამ.-კ. რკინიგზის მე-2 განყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. მაღრაძემ აღნიშნა, რომ მიწოდება იქნება ელექტრომავლით ფრონტის მოწინავეთათვის ყოველგვარი დახმარების გაწევა, მათ მიერ აღებულ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შ. გურიშიძე.

მაღაზიებში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლა და დაბრუნება

მოსკოვი. 5 დეკემბერი (საქდესი). სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ვეიცერმა გამოსცა ბრძანება მაღაზიებში ნაყიდ სამრეწველო საქონლის გამოცვლისა და დაბრუნების წესის შესახებ.

ყოველ მყიდველს უფლება აქვს საქონლის ყიდვის მომენტიდან 7 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მაღაზიას ნაყიდი საქონელი და მიიღოს მისი ღირებულება ან გამოცვალოს სხვა ხარისხის, ოდენობის, ფასონისა და ფერის საქონელზე.

უკანვე მიიღება: მზატანსაცმელი, თეთრეული, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ზეწრეული, ცალობითი საფეიქრო საქონელი, ნოხები, ავეჯეულობა, ჭურჭეული და სამეურნეო საქონელი, სასპორტო - სანადირო საქონელი, მუსიკალური საკრავები (პატეფონის ფირფიტების და ტუჩის გარმონების გარდა), ელექტროსამეურნეო საგნები, საგზაო ნივთები, ცალობითი გალანტერეა, ცალობითი ტრიკოტაჟი.

საქონლის ღირებულების ფული მყიდველს დაუბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი საქონელს თავდაპირველი სახით მოიტანს. ეს წესები არ ვრცელდება საკომისიო მაღაზიებსა და იმ საქონელზე, რომელიც იყიდება ფაბრიკის შეფუთვით და მყიდველის მიერ გახსნილია.

100 ათასი მეტრი აბრეშუმი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი შეუდგა ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველი რიგის მიღებას. ფაბრიკაში მისი შენების დაწყებიდან დადგმულია 350 საქსოვი დაზგა, წლის დამლევამდე კიდევ დასდგამენ 50 დაზგას. მიმდინარე წელს ფაბრიკა საექსპლოატაციოდ გადაცემული 200 დაზგით წლის დამლევამდე გამოუშვებს 900 ათას მეტრ აბრეშუმის ქსოვილს (საქდესი).

◇

მეტეორიტი

იგარკა, 6 დეკემბერი (საქდესი). აქ მიღებულია ოფიციალური რადიოცნობა, რომ 29 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, ტურუხანსკის რაიონს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადაუარა კაშკაშა შუქის მქონე მეტეორიტმა. ერთერთ სოფელში, რომლის მახლობლადაც მეტეორიტმა გაიარა, ისმოდა „ცის კუმბარის" გაფრენით გამოწვეული ძლიერი გუგუნი, რომელიც საავიაციო მოტორის ხმაურს მოგვაგონებდა.

○

როგორც მეცნიერებათა აკადემიის ლომონოსოვის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა განაცხადა, ლაპარაკია, ალბათ, ხეროში მოვიდა ნამსხვრევად ქცეული მოზრდილი მეტეორიტის ჩამოვარდნაზე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს მეტეორიტი ჩამოვარდნილიყოს იმ სოფლის მახლობლად, სადაც მისი გუგუნი ისმოდა, რადგან თვით დაცემის თანხლები ქუხილისებური ხმა, რომელიც ჩვეულებრივ 10 კილომეტრამდე მანძილზე ისმის.

◇

ახალი ამბები

● **ფუნიკულიორის პლატოზე** კულტურისა და დასვენების ახალი პარკის გაშენება დაიწყება 1937 წლის მარტიდან. პირველ ხანებში პარკი გაშენდება 12 ჰექტარზე.

● **საკურორტო სამმართველო** ამუშავებს ღონისძიებებს მომავალი საკურორტო სეზონისათვის საქართველოს კურორტების კეთილმოსაწყობად. მთავარი ყურადღება ექცევა ახალი კურორტების კეთილმოწყობას, გზებისა და წყალსადენების გაყვანას, გასართობების მოწყობას და სხვ.

● **პედაგოგთა კვალიფიკაციის** ამაღლებისათვის ხელისშეწყობის მიზნით თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება ტურგენევის ქუჩაზე (მე-106 სკოლის შენობაში) აწყობს პედაგოგიურ კაბინეტს. კაბინეტის მოსაწყობად გადადებულია 35.000 მანეთი.

● **თბილისის საბჭომ** დაავალა რაისაბჭოებს ქალაქის ყოველ უბანში გამოყონ საწყობები კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის ზამთარში შესანახად. საწყობებში საკმაო რაოდენობით მოიმარაგებენ ამ პროდუქტებს მოსახლეობისათვის მისაწოდებლად.

● **გორის რაიონში** მოეწყო მეორე მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელიც მოემსახურება გორწყვის ტერიტორიის ველს 40 კოლმეურნეობას.

თბილისის ჩაისწონი ფაბრიკა

მოსკოვი, 5 დეკემბერი (საქდესი). სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა თბილისის ჩაისწონი ფაბრიკის სამრეწველო ფართობის სრული ტექნიკური პროექტი. ფაბრიკამ წელიწადში უნდა გამოუშვას 4 მილიონი კილოგრამი ბაიხისა და 1 მილიონი კილოგრამი დაწნეხილი ჩაი. ფაბრიკა უნდა ამუშავდეს 1938 წლის პირველ ნახევარში.

◇

მოწინავე არტელი

„მკერავთა კომუნა" ერთერთი მოწინავე არტელია სარეწაო კავშირის სისტემაში. წელს არტელმა უნდა გამოუშვას 2.280 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმის შესასრულებლად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. საამქროებს შორის გაშლილია სოც.შეჯიბრება. ყველაზე წინ მიდის მეორე საამქრო (გამგე ამხ. ხალიანი), რომელმაც 9 თვის გეგმა 136,4 პროცენტით შეასრულა.

საამქროებში თვეში ორჯერ იმართება საწარმოო თათბირები და ყურადღებას ამახვილებენ გეგმის მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისაკენ. არტელს ჰყავს 34 სტახანოველი, რომლებიც ერთიორად და ერთიასმად აჭარბებენ მიცემულ ნორმებს.

შ. არიშიძე

◇

სპორტი

ძალოსნების შეკრება

ახალი რეკორდების დამყარების მიზნით თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, 24 დეკემბერს აწყობს სიმძიმეების აწევათა შეჯიბრებას. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ცნობილი ძალოსნები.

შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებით სასპორტო საზოგადოება „სპარტაკი" აწყობს ძალოსნების სპეციალურ წრეებს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს ფეინტი კალმახელიძე, გუმაშიანი, მოშიაშვილი და ტატიშვილი, რომელთა შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამხ. ფეინტი და გუმაშიანი წლიურ დღესასწაულზე მოელიან ფალავნების პაპუაშვილისა და მიტოვის რეკორდებს.

◇

შემთხვევები

# ქურდების დასჯა. ქალაქის მილიციის მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა დააპატიმრეს დ. ა. მარქაროვი, რომელიც ქურდობისათვის არა ერთხელ იყო მიცემული პასუხისგებაში. 1934 წელს სასამართლომ მარქაროვს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1935 წელს მარქაროვი გაიქცა შრომა-გასწორების ბანაკიდან და განაგრძობდა ქურდობას. 4 დეკემბერს მარქაროვს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დახურულ ბაზარში დააპატიმრეს მეურეწლეობის ნ. გ. ღვარაშვილი, რომელმაც ჩამოსულ კოლმეურნეს ლ. მარაქელს მოპარა გასაყიდად ჩამოტანილი პროდუქტები.

თბილისის ოპერის თეატრის ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი და მოცეკვავე ელ. ჩიქვაიძე ქართული ბალეტის „მზე-ჭაბუკის" რეპეტიციაზე.

ხელოვნება

პირველი ქართული ბალეტი

თბილისის ოპერის თეატრი ამჟამად დასადგმელად ამზადებს პირველ ქართულ ბალეტს — „მზე-ჭაბუკს". ლიბრეტო დაწერილია პოეტ გ. ლეონიძის მიერ, მუსიკა ეკუთვნის ახალგაზრდა კომპოზიტორს ა. ბალანჩივაძეს.

ბალეტის მოკლე შინაარსი ასეთია: თავადი ერისთავი ლალას ატყუებს გლეხებისგან. მის მოურავს უკანასკნელი ნივთები გამოაქვს ღარიბთა ქოხებიდან. ამ ნიადაგზე იწყება გლეხების მღელვარება. თავადის თავგასულობით აღშფოთებული მონადირე ჯარჯი წინ აღუდგება მოურავს, მაგრამ მათრახს იწნევს მისკენ. ჯარჯი იძრობს ხანჯალს, დაჰკრის მოურავს, მოახტება ცხენს და რამდენიმე მეგობართან ერთად მთებს შეაფარებს თავს.

ჯარჯს და თავად ერისთავის ასულ მანიას უყვართ ერთმანეთი. ჯარჯის გაქცევის შემდეგ მანიას ათხოვებენ ახალგაზრდა თავად ზაალზე. ქალი მიდის ტყეში და გამოეთხოვება ჯარჯის. ტყეს გაჭრილი გლეხები გადაწყვეტენ თავს დაესხნენ ერისთავს და მოკლან იგი.

მანიას და ზაალის ქორწილია. მოდიან სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. გამოჩნდებიან გადაცმული ჯარჯი და მისი რაზმელები. ჯარჯი ჰკლავს ერისთავს, მაგრამ გაჩაღებული ბრძოლის დროს გამარჯვება თავადის მომხრეებისკენ გადაიხრება, დაჭრილი ჯარჯი თავადის სახლში იმალება.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მანია გასცემს თავის მამის მკვლელს-შეყვარებულს. მაგრამ იმ წუთშივე ინანებს. გლეხებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ყველა გარბის თავის საშველად. რჩება მარტო მანია. მას აღარავინ დარჩენია — არც მამა, არც საყვარელი და ცეცხლის ალში ჰპოვებს შვებას.

„მზე-ჭაბუკს" სდგამს ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი. მთავარ როლებს ასრულებენ: მანია — ელ. ჩიქვაიძე, ჯარჯი — ვახტანგ ჭაბუკიანი, თავადი ერისთავი — ს. გორსკი, ზაალი — ი. სუხიშვილი, მანიას დედინაცვალი — მ. ბაური, მოურავი — გ. ბარბუდაროვი, მანიას მეგობრები — თამარ ჭაბუკიანი, მ. კაზინეცი, ლ. ვაინოვა, მ. ბიური.

სპექტაკლს დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. მიქელაძე, მხატვარი — ს. ვირსალაძე.

პრემიერა დანიშნულია 29 დეკემბრისათვის.

○

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სპექტაკლის ავტორმა ვ. ჭაბუკიანმა განაცხადა:

„მზე-ჭაბუკი" ქართული საბალეტო სპექტაკლის შექმნის ცდაა. სპექტაკლს ჩვენ მთლიანად ქართულ ნაციონალურ ფოლკლორზე ვაშენებთ. მაგრამ ამავე დროს ვიყენებთ კლასიკური ბალეტის ელემენტებსაც, რაც თავად-მემამულეთა კლასის ხაზგასასმელად გვესაჭიროება. მაგრამ ეს არ არის შმრალი კლასიკა. კლასიკური ბალეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ ქართულ ნიადაგს „დავამყენით".

ქართული ცეკვებიდან „მზე-ჭაბუკში" გამოყენებულია ხორუმი, ფერხული, ცერული, სამაია, მთიულური, ლეკური და სხვა, მაგრამ არა როგორც შიშველი ეთნოგრაფია. ყოველი ცეკვა გადამუშავებულია ბალეტის შინაარსთან შეფარდებით.

კრებები

— საქ. ალკკ-ის თბილისის კომიტეტი და საბჭოთა მწერლების კავშირი დღეს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში კომკავშირის აქტივისათვის მართავენ საღამოს დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. დასწრება მოსაწვევი ბილეთებით.

— 10 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება ბელორუსიაში მივლინებულ ქართველ მწერალთა ბრიგადის შემოქმედებითი საღამო. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ბენ. ბუაჩიძე. ბრიგადის წევრები: რ. გვეტაძე, ი. მოსაშვილი, ქ. ლორთქიფანიძე, ალ. ქუთათელი, წაიკითხავენ ბელორუსიაში მიძღვნილ ლექსებს, მოთხრობებს და ნარკვევებს. შესვლა თავისუფალია.

— დღეს, საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში—ბოტანიკის აუდიტორიაში შესდგება ბოტანიკის კათედრის ღია სხდომა. დღის წესრიგშია: პ. დ. იაროშენკოს მოხსენება—საქართველოს ნესტიანი სუბტროპიკების აღმოსავლეთის საზღვარი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

9 დეკემბერს პროპაგანდისტთა სკოლის (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა, დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „პირადი საკუთრების უფლება სოციალისტურ სახელმწიფოში". საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი—საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საფუძველი". ქართულ ენაზე. საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალისტური საკუთრება—საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი". ქართულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

○

— **საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის** პარტკაბინეტი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე პარტკაბინეტის შენობაში გაიმართება აგიტკოლექტივის მორიგი მეცადინეობა შემდეგ საკითხებზე:

1. ბრძოლა ესპანეთის ფრონტებზე.
2. ამხანაგ **სტალინის** მოხსენება საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

მეურნეობრივ ორგანიზაციების (მაღაზიების, არტელების და სხვ.). აგიტატორთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ჩიხლაძესთან.

ი. მ. დოლიძაშვილი (ოქროს და პლატინის მრეწვ. ჯგუფკომის თავმჯდომარე), ტ. ნ. ჩოჯიბაძე (ფაბრიკულის სახ. ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარე), ე. ს. ალიხანი (ქიმიური კანტორის სპეციალურ შენობის მმართველის მოადგილე).

— **პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია** საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. არტემ თედორის-ძე წიფურიას ათ დღეში გამოცხადდეს პარტგამომძიებელ ნ. ბოკერიასთან (ც. კ-ის შენობა, ოთახი № 18).

— **საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი** აცხადებს, რომ 1936 წლის ნოემბერში პარტბილეთი № 1531624, გაცემული ამხ. სვერიაძე ფილიპეს-ძე თარგამაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი" № 9

[illegible] საბჭოთა მწერლების კავშირის [illegible] ჟურნალ „მნათობის" [illegible] საიუბილეო ნომერი, სხვა ნომრებთან შედარებით, უკეთესადაა შედგენილი, მასალები სათანადოდ შერჩეულია და დალაგებული.

ჟურნალი იხსნება ამხ. ლ. ბერიას წერილით „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები" და ა. თათარიშვილის მეთაურით — „რევოლუციური სიფხიზლე და მებრძოლობა".

მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში წარმოდგენილია ქართული პროზის ოსტატის ლეო ქიაჩელის ახალი რომანის „გვადი ბიგვას" XI და XII თავები. ეს რომანი იშლება სუბტროპიკული რაიონის კოლმეურნეობის ფონზე. აქ წარმოდგენილი თავები ავტორისათვის ჩვეული ოსტატობითაა დაწერილი. ნაწარმოები ჯერ არ არის დამთავრებული.

დიდიხანია „მნათობში" იბეჭდება მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ქალის ტვირთი", რომელიც 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებს ასახავს. ავტორი აქ წარმოდგენილ თავებში თხრობის საინტერესო ოსტატობით გადმოგვცემს ჩვენი წარსულის ბრძოლების ამაღლვებელ ეპიზოდებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ზოგჯერ მიმართავს უხეირო და გაუმართლებელ შედარებებს (მაგალითად: „ქალი ისე იწვა ზინბელში, როგორც მკვდარი — კუბოში").

„მნათობის" რედაქციის აქტივში ჩაითვლება ახალგაზრდა კადრების წამოწევა, მათი ნაწარმოებების ბეჭდვა და დახმარება. აქ წარმოდგენილია ახალგაზრდა მწერლის გრ. ჩიქოვანის მოთხრობა „დათიკო არაბული", რომელშიც ასახულია ხევსურეთში ძველი და ახალი ყოფის შეჯახება, მაგრამ ეს ამბავი არ არის დამაჯერებლად მოცემული. თვით მოთხრობა ანტიმორალურია და მკითხველის ფსიქიკაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მამისა და შვილის კონფლიქტი და შემდეგ მამის, დათიკო არაბულის, ტყეში გაქცევა არ არის დამაჯერებელი. მოთხრობაში არის უხეირო გამოთქმებიც: მაგალითად: „ზვავების ზმუილი" (ზმუიან ცხოველები), „ხორცის მომზადება" (თუ კერძის მომზადება). ერთ ადგილას იმ სტრიქონში ეჭვსგარეშეა ნაძალადევი სიტყვა „მანქანა".

მდიდრადაა წარმოდგენილი პოეზიის განყოფილება. კარგია გრ. აბაშიძის ლექსი „ესპანელ ძმებს" და ტიციან ტაბიძის „ორი ცოლი", ხოლო რაც შეეხება ჯ. ხაჩირაძის ლექსს „გამოცდილება", იგი დაწერილია ძვ. ტაბიძის გავლენით და ახალს არ იძლევა.

თარგმნილი ლიტერატურიდან აღსანიშნავია დიდი პროლეტარული მწერლის მ. გორკის „იტალიური ზღაპრები" და პუშკინის ლექსები. ბენ. ბუაჩიძის წერილში „ქართული საბჭოთა პოეზია", განხილულია ის მიღწევები, რომელიც მოიპოვა ქართულმა პოეზიამ. ამავე დროს ავტორი აყენებს მთელ რიგ საინტერესო საკითხებს.

ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში მოთავსებულია ვ. კოტეტიშვილის წერილი „აკაკი წერეთლის შემოქმედება და ფოლკლორი". აკაკი ძალიან ახლო იდგა ხალხთან და ხალხურ შემოქმედებასთან. ამიტომ საინტერესოა მის შემოქმედებასა და ფოლკლორს შორის პარალელის გავლება.

სარეცენზიო ნომერში არცერთი ბიბლიოგრაფია არ არის მოთავსებული. წიგნის ბაზარზე დიდძალი პროდუქცია გამოდის, ასეთმა სქელტანიანმა ჟურნალმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა ახლად გამოსულ წიგნებზე.

ჟურნალი დაგვიანებითაა გამოსული. სექტემბრის ნომერი ნოემბერში გამოვიდა, რაც ყოვლად დაუშვებელია, როგორც მკითხველების ინტერესის ...

ქ. ბ.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

9-XII	ანზორ
10-XII	ნაბიჭვარი

სახცირკი
ტელ. 3-11-44

დღეს 9 დეკემბერს მრავალფეროვანი პროგრამა მ. ზოლლოს
საცირკო ხელოვნ. საუკეთესო ოსტატების გამოსვლა. უებ. ნომრების გამოსვლა
მ. ზოლლოს და მისი ყოველგვარი შეჯიბრის მე-2 ციკლის პროგრამის დასასრული. დღეები.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს. დან.
12 დეკ. დღისით 2 წარმ.

მალე ზოლლოს რკინიგზა 400 ცხოველის მონაწ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

9 XII წარმ. № 52	ცხვრის წყარო
10 XII წარმ. № 53	მზის დაბნელება საქართველოში

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6 30 8-30, 10-30	ხმოვ. ფილმი ბებო კრონიკა გარეშე ესპანეთის ამბები № 7
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი ნატალკა პოლტავკა ესპანეთის ამბები № 8.
კომკავშირელი 6 30, 8, 9-30, 11	ხმოვანი სათავგადასავლო ფილმი ჯულბარს
რ. ლუქსემბურგის სახ. 5, 7, 9, 11	უკანასკნელი დღეს ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა
26 კომ. სახ. 6 30, 8-30 10-30	მხატვრ. ფილმი იბრაჰიმ და გოდერძი
ახალი ამბები	(ცხენოსანთა ალია..., ძმათა რული მწყემსი, ხმოვანი ჟურნალი № 28.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
ქვემოთ მოყვანილ კათედრების ხელმძღვანელების
თანამდებობაზე.
სტომატოლოგიური ფაკულტეტის ხაზით:
1. ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის.
2. ფარმაკოლოგიის კურსის.
განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს სამედიცინო ინსტიტუტის კანცელარიაში (ოთხბარსისის ქ., № 12) სათანადო საბუთებით და დართვით, განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადა 1937 წლის 10 იანვრამდე.
713—2 სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო იუწყება, რომ 1937 წლის 6 იანვარს, ანატომიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (კომის ქ. 51) შესდგება საბჭოს ღია სხდომა საჯარო პაექრობით.
დოცენტი, მედიცინის მეცნიერების კანდიდატი
ნიკოლოზ ანდრიაძე
მედიცინის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე „მაგალითი ძუძუთა ... ის დიდების მე-ა-ტავლად". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. შ. მიქელაძე და პროფ. ალ. ლორთქიფანიძე.
მსურველთ წინასწარ შეუძლიათ გაეცნონ დისერტაციას მედინსტიტუტის საბჭოს მდივანთან.
7112—2 სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო.

სასადილოების, რესტორანებისა და კაფეების თბილისის ტრესტი
აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების შემდეგ
ა-წ. 9 დეკემბერს იხსნება რესტორანი
„სიმპატია"
(პუშკინის ქუჩა, № 15).
რესტორანი მთლიანად განახლებულია.
შექ ნილია კულტურული მომსახურების ყოველგვარი პირობები. სამზარეულო გამოცდილი კულინარების ხელმძღვანელობით ამზადებს სუფთა კარგი ხარისხის ევროპულ და აზიურ საჭმელებს ბუფეტში მ იღებ ცივი საუზმის, გამაგრილებელი წყლებისა და მაგარი სასმელების მდიდარი ასორტიმენტი.
უკრავს სიმფონიური ორკესტრი.
რესტორანი ღიაა დილის 9 საათიდან ღამის 4 საათამდე.
200 დირექცია.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია იუწყება, რომ 1936 წლის 25 დეკემბერს რკინიგზის საავადმყოფოში პროპედევტული ქირურგიული კლინიკის აუდიტორიაში შესდგება საკვალიფიკაციო კომისიის ღია სხდომა საჯარო პაექრობით.
ასისტენტი დიხამინჯია კალენიკე სიკოს-ძე
მედიცინის მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე: „ოპერაციასთან დაკავშირებით გამოწვეული გართულებების დროს ნახშირორჟანგის გამოყენების საკითხისათვის". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. ერისთავი და დოც. ახმეტელი.
711/2 სახ. მედინ. ინსტ-ის საკვალიფიკაციო კომისია.

ქალ. ტფილისის განსაკუთრებული კამერის სახამართლოს აღმასრულებელი დ. ა. ხვანიძე
ამით აცხადებს, რომ ა-წ. 11 დეკემბერს ნაშუადღევის 12 საათზე
საჯარო ვაჭრობით გაიყიდება „საქკავშირბანკის" ქონება (ქ. ტფილისი, კლარა ცეტკინის ქ. № 59) „ზარისი" სისტემის 2 საბარგო ავტომანქანა №№ 8 55 და 17-35, შეფასებული 5.000-მან. თით. ელირებული ... ბაიკი ... ავალის ... 5.860 მან. ... არბიტრაჟის ს/წ 22 დეკემბრის ... და 1/998 №-ით გაცემული ბრძანებით. საჯარო ვაჭრობის დროს დაშვებული იქნება საქ. სამ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები.
16617

სარეცხი საპონი
1937 წლისათვის

უმაღლესი ხარისხის	60 % ცხიმ.	2.870	მანეთი	ტონა.
პირველი	50 „ „	2.470	„	„
მეორე	40 „ „	2.070	„	„

კვებმრეწსახკომისარიატის სახელმწ. საპნის ქარხნები
გამოუშვებენ საპონს ყველა საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულებას. განაცხადი 1937 წლისთვის საჭირო რაოდენობაზე კვარტალური და ხარისხობრივი დანაწილებით გადმოუგზავნეთ „გლავრასჟირმასლოს" საქართვ. რესპუბლიკურ კანტორას შემდეგი მისამართით: თბილისი, კიროვის, 9. განაცხადის წარმოდგენის ვადად დაწესებულია 1936 წლის დეკემბერი.
1658 კანტორის მმართველი გოიკო.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სადივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა პარტიულის — 3—57—61. სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40 მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—61, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნებს.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კომის ქ. № 65.

მთავლიტის რწმუნებული ბ—6564